

K 18087  
1a

(47 93)329-142

ლ-80

ე.ვ. ლომოხეიძე

**ქართული ემიგრაცია  
და ანტისაბჭოთა პარტიების  
მუშაობა**

საბეჭდო

(27.93) 329.1

მ-80

სსს. სსსსსსსსსს

9615662  
7.5.2017-779796

4648

ქართული ენობრიბა  
და


ანტიანობათა პარტიების  
მუშაობა

3773  
023577

K 1808X  
19



1927



სტამბა გაზ. „ზარია ვოსტოკა“-სი. საშა წულუკიძის ქ. № 4.

შეკვ. 1286.

მთავლ. 1502.

ტირაჟი 2000.

## 1.

„ძალიან ხშირად, როცა ისტორიაში ხდება ძირითადი გარდატეხა, მოწინავე პარტიებიც კი დიდხანს ვერ ერკვევიან ახალ მდგომარეობაში, იმეორებენ ლოზუნგებს, რომლებიც სწორი იყვნენ გუშინ, მაგრამ რომლებმაც ყოველგვარი აზრი დაჰკარგეს დღეს, დაჰკარგეს აზრი ისევე „უეცრად“, როგორც „უეცრად“ მოხდა ეს გარდატეხა“.

ლენინის ეს რამდენიმე, მაგრამ დამარწმუნებელი სიტყვები, რომელიც მან წარმოსთქვა 1917 წელს, ზედმიწევნით გამოხატავს ქართული ემიგრაციის მთელ ტრადიციას.

და ყოველთვის, როცა ჩვენ გვიხდება ლაპარაკი ამ ემიგრაციის როლზე და ქართულ ემიგრანტულ ფრონტის პოლიტიკურ ხელმძღვანელების ტაქტიკაზე ევროპაში, — ჩვენ იძულებული ვართ პირველ რიგში აღვნიშნოთ სწორედ პოლიტიკური პერსპექტივების აბნევა, რომელიც ჩვენი მოწინააღმდეგეების რიგებში გამოიწვია ისტორიის „უეცარმა“ გარდატეხამ და გუშინდელი ლოზუნგების დამარცხებამ, რომლებმაც დაჰკარგეს ყოველგვარი აზრი დღეს. სა-

ქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ოქტომბრის რევოლუციის და 1921 წლის თებერვლის ამბების შეფასებაში „მხედველობიდან გაუსხლტათ“ სწორედ ეს გარდატეხა მუშათა კლასის ისტორიაში და საქართველოს გასაბჭოებიდან დღემდე ისინი ებლაუჭებიან ლოზუნგებს, რომლებმაც დაჰკარგეს აზრი ნეტარხსენებულ „დემოკრატიული რესპუბლიკის“ ხანაშიაც კი.

დღეს კი ემიგრაციის მეთაურთა ტაქტიკას და ლოზუნგებს არა თუ არ აქვთ არავითარი აზრი, და ეს ლოზუნგები არა თუ არ წარმოადგენენ სალი აზროვნების ნაყოფს, არამედ მათ აღარ შერჩენიათ თავად აზნაურულ საქართველოსათვის საყვარელ რომანტიზმის ნატამალიც კი. პირიქით, რამდენადაც ჩვენ ეს დავინახეთ ქართულ ემიგრაციის ლაბორატორიაში—პარიზში—ეს ტაქტიკა განმტკიცდა, როგორც გაიძვერულ-აგანტიურისტული და სრულიად დაყრდნობილი გულუბრყვილო მასების მოტყუებაზე და პროვოკაციაზე.

უკბილოდ მკბენარე, მაგრამ პასიურად მოაზროვნე ანტისაბჭოთა ფრონტი, რომელსაც ერთხელვე აუსხლტა ფეხი ისტორიულ გარდატეხის დროს, ბუნებრივად მივიდა თავის მორალურ და იდეოლოგიურ აღსასრულამდე.

და თუ ჩვენ ვიცით, რომ ევროპაში ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან ესა თუ ის პოლიტიკური ჯგუფე-

ბი, კერძოთ ქართველი მენშევიკები,—ჩვენ ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ჩვენს წინააღმდეგ იბრძვიან მტრები, რომლებსაც არ გააჩნიათ იდეა, ხოლო იდეურად და მორალურად გამოფიტული პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა ბანდა—რომელიც გადაიქცა მხოლოდ ფიზიკურ კატეგორიით, — ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საშიში არ არის.

ქართული ემიგრაციის უბრალო მონაწილენი და ბელადები, რომლებიც შეკრებილი არიან პარიზში და თავს უწოდებენ „მთავრობას“, „პარტიულ კომიტეტს“ და სხვ. წარმოადგენენ ნამდვილ პოლიტიკურ შარლატანების საზოგადოებას, რომლებიც პირადათ გახელბული არიან ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ყოველგვარ მორალურ და იდეურ წონას კი მოკლებული არიან.

ესენი არიან წაგებული მოთამაშენი, რომელნიც ხელს აწერენ ყოველგვარ თამასუქებს და ავირავებენ თავის ტულეტს საეჭვო ბედნიერების, შესაძლებელ, შემთხვევით მოგების იმედით. აი ასეთი გვეჩვენება ქართველი ემიგრაცია ევროპაში და ასეთები არიან ნამდვილათ სასაცილო პატრიოტები, როდესაც უკვირდებით დონკიხოტურ ხულიგნობით აღსავსე მათ ცხოვრებას.

## 2.

„აღმოსავლეთის ბარბაროსები, ან დასავლეთის იმპერიალისტები“ ...

ჩვენ ვიყავით „აღმოსავლეთის ბარბაროსები“ და ჟორდანიამ მუშათა კლასის დიქტატურას ამჯობინა დასავლეთის იმპერიალიზმი, რომლის ფრთებ-ქვეშ ის დღემდის იმყოფება.

ყოველგვარი ლაპარაკი დემოკრატიაზე, ინტერნაციონალზე, დამოუკიდებლობაზე და საქართველოს ეროვნულ ინტერესების და უფლებების დაცვაზე, — ეს ყველაფერი ლაყბობა და ფრაზებია, რომლითაც ვერავის ვერ გააკვირვებ და ვერ დაარწმუნებ, განსაკუთრებით „დემოკრატიულ“ ევროპაში.

უნდა გავარჩიოთ ერთმანეთში ეგრედ წოდებული „ბარბაროსები და იმპერიალისტები“, ე. ი. ჩვენ — მუშურ-გლეხური ხელისუფლება და ამ ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი დასავლეთის ბურჟუაზია.

მენშევიზმი ჟორდანიას მეთაურობით და ყველა ისინი, ვინც მას მიეტმასნენ „პატრიოტიზმის“ სახელოვან არწივთა გუნდიდან, არიან დასავლეთთან, ბურჟუაზიასთან, მუშათა კლასის მტრებთან ერთად; მაშასადამე, ისინი არიან მათ მიერ შეცდომაში შეყვანილ პროლეტარიატის მტრები.

ცნობილია, რომ ბრიანი 1921 წელს ეუბნებოდა ჟორდანიას: „თქვენი პროპაგანდით ბოლშევიკების წინააღმდეგ თქვენ სარგებლობა მოუტანეთ არა მართო თქვენ საქმეს, არამედ ჩვენსაც. დარდი ნუ გაქვთ, გქონდეთ იმედი ჩვენი დახმარებისა“.

ასე ემსახურებოდა მენშევიზმის უხუცესი ბელადი ბრიანს და მეშჩანურ-ბურჟუაზიულ ევროპას. და ეს იყო აუცილებელი, რადგან მუშათა დიქტატურასა და ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს შორის მან უპირატესობა მიაკუთვნა უკანასკნელს.

მაგრამ რა მიიღო ჟორდანიამ ამ სამსახურისათვის, ამ „სარგებლობისათვის“, რომელიც მოუტანა მან საფრანგეთის „დემოკრატის“; მაგრამ რითი იკვებება მებრძოლი მენშევიზმი სპეკულიანტ ნაციონალ-დემოკრატებთან, პატრიოტულ სევდით შეპყრობილ ფედერალისტებთან და ყოველთვის მარტოთ მარტო დარჩენილ იოსებ გომეჩიასთან ერთად?

რა მიიღეს მათ, რას პირდებიან ისინი საქართველოს და რისი დაპირება შეუძლიათ მათ!

საკმარისია დააკვირდეთ ქართულ კოლონიებს პარიზში, ბელგიაში, ბერლინში, პრაგაში, სტამბოლში, საკმარისია თუნდაც ნაწილობრივ გაეცნოთ საქართველოს „მთავრობის“ პოლიტიკურ კომბინაციებს, რათა საბოლოოთ დარწმუნდეთ ერთ რამეში: ქართულმა ემიგრაციამ დაჰკარგა ყველაფერი — სინიდისი და გონიერება და ვერაფერი ვერ მიიღო; ემიგრაციის პოლიტიკა არაფერს არ პირდება საქართველოს, გარდა ახლო წარსულში მიღებულ მწარე გაკვეთილების განმეორებისა.

რას წარმოადგენს ქართული ემიგრაცია ევროპაში, ვისგან შესდგება სამშობლოს ამ „მხსნელების“ კადრი და როგორია ამ „განდევნილ მეფეების“ რეალური პერსპექტივები?

ემიგრაციის მთავარ მასას შეადგენენ ყოფილი მინისტრები, განსაკუთრებული რაზმის აგენტები, ოფიცრები ჩოლოყაშვილის ბანდიტებთან ერთად და რამდენიმე ათეული უპიროვნო ფიგურები, რომლებიც უკეთეს პროფესიის უქონლობის გამო თავს უწოდებენ „თავადებს“.

ამ კეთილმორწმუნე ადამიანების ყოფა-ცხოვრების, პოლიტიკური და წოდებრივი ინტერესები, როგორც ამას ქვევით დავინახავთ, ეწინააღმდეგებან ერთმანეთს. მაგრამ ერთ რამეში თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ეს—არის ბოლშევიზმი და საბჭოთა ხელისუფლება.

ურიცხვ პროექტებში, რომლებიც ითხზება საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და შედგენილია ყოველთვის მხოლოდ თავის საკუთარი სამრევლოს ინტერესების მიხედვით,—ქართველ ჯვაროსანთა ბელადები უცხოეთში ამცნობენ ქვეყანას მარად „ბრძნულ“ ფორმულას: „ძირს ბოლშევიკები“.

აქ, ისე, როგორც ჯარისკაცები გუნდის ქვაბთან. მხარდამხარ დგებიან „სოციალისტი“ წერეთელი

და მარად უამს ბოქაული და ქართული „ოხრანკის“  
შეფი მ. კელია, „პატრიარქი“ ქორდანია და საექვო  
მარკის სპეკულიანტი ალექსანდრე ასათიანი და  
„თითქმის სრულიად საქართველოს კათალიკოსი“  
ივანიცკი; დასასრულ საქართველოს დიდად პატივ-  
ცემული „ელჩი“, სოციალ-დემოკრატი ჩხენკელი და  
რომელიდაც კათოლიკე მონსენიორი, რომელიც სა-  
კმაო წარმატებით ნერგავს კათოლიკურ დოგმებს  
მენშევიკებისა და ქართული პატრიოტიკის სამწყსო-  
ში კეთილმორწმუნეთა გზებიდან გადამცდართა შო-  
რის.

ამ სხვადასხვაგვარად განწყობილმა და სხვადა-  
სხვა ყაიდის მასამ, რომელმაც დაჰკარგა სახე საბ-  
ჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ხელისუფლები-  
სადმი ბრმა სიძულვილით, თავიანთი გაძევების პირ-  
ველი დღეებიდანვე ისტერიულად დაიწყო ტირილი  
მთელი ევროპის გასაგონად თავის შეურაცხყოფისა  
და ქართველი ხალხის გაუბედურების გამო.

სტამბოლში, თავისი იძულებითა ეტაპის ამ პირ-  
ველ პუნქტში, „საქართველოს მთავრობა“ არწმუ-  
ნებდა დიდი და მცირე სახელმწიფოების ყველა  
უმაღლეს კომისრებს თავიანთ უმორჩილეს გრძნო-  
ბებში; იმავე დროს სცდილობდა შეთანხმებულიყო  
სულთანთან საქართველოს „განთავისუფლების“ სა-  
კითხში (მუსლიმანობაში გადასული გენერალი ოდი-  
შელიძე დიდხანს და ბევრს იღვწოდა ამ ფრონტზე,  
მაგრამ, ვაგლახ, ამაოდ).

მაშინ ჯერ კიდევ ბლომად იყო წამალი ნოე ჟორდანიას საბრძოლველად განწყობილი რაზმის განკარგულებაში, მისი „მთავრობის“ სალარო საფეხე იყო, მაშინ საქართველოს ქალაქთა კავშირის ქონება კაპიტალს წარმოადგენდა, ხოლო ისტორიული ხატები და ჯვრები, რომლებიც გაიყიდა სტამბოლის სპეკულიანტებზე, საგრძნობლად აძლიერებდენ კურთხეული „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ პირველ „მოქალაქეთა“ სავალიუტო ფონდებს.

მაგრამ ფონდები თანდათან ჰქრებოდენ ხელში, უმაღლესი კომისრები ანუგეშებდენ „მათ აღმატებულებას ნოე ჟორდანიას“ თავიანთი უცვლელი სიმპატიების გამოცხადებით, ხოლო იმავე დროს გამაგრებულმა ახალმა ოსმალეთმა გამოყრუებულ სულთანთან ერთად გარეკა ანტანტის კომისრები მათთვის საამუშროო ჟორდანია-რამიშვილიანა. სტამბოლში თავმოყრილი ემიგრანტების მასა იძულებული შეიქნა ეძებნა თავშესაფარი სხვა ქვეყნებში, რათა გაუტანელ სტამბოლში სიმშვილით არ დახოცილიყო.

პრაგა, ბულგარეთი, ბერლინი, პარიზი; წელში გამწყვეტი მუშაობა ბულგარეთის მადნებზე, დიდი ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში და სადგურებზე ზანგებთან და ვრანგელის არმიის ჯარისკაცებთან ერთად—ამ გზით გაიცვენეს ემიგრაციის დაბალმა ფენებმა პირადი გამოცდილებით; თუ რას ნიშნავს ბურჟუაზიული ევროპა და „დემოკრატიული სამოთხის“ მშენებლობა.

რას აკეთებდა ემიგრაციის „მოწინავე“ ხაწილი: „მთავრობა“, პოლიტიკური პარტიები. ისინი აკეთებდნენ პოლიტიკას თავიანთ შორის და პოლიტიკას „დიდი მასშტაბით“ ქვემოთ ქვეყნდება ზოგიერთი დოკუმენტები, რომლებაც შეეხება ამ „დემოკრატიული“ ბატონების შინაურ პოლიტიკას ევროპაში. ეს დოკუმენტები ზედმიწევნით ანოწმებენ, რომ ინჟერენციისა და ევროპის მხრით რეალური დახმარების იმედი ამოიწურა უმაღლეს, ვიდრე ამას მოელოდნენ ევროპაში „ქართული საქმის“ ყველაზე უფრო გაუსწორებელი ოპტიმისტები, და უკანსკნელი იმედო დარჩა თვით საქართველოში, შინაურ გართულებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისა იარაღით ხელში.

ამ დოკუმენტებიდან სჩანს აშკარად, რომ საქართველოში იარაღით ხელში აჯანყების იდეა დაიბადა სწორედ ემიგრაციაში და 1922 წელს ეს იდეა გადაეცა საზღვარ გარეთიდან საქართველოში მომქმედ ინტერპარტიულ ცენტრს.

საქართველოს ლეგაციის შენობაში ვიქტორ ჰიუგოს ავენიუზე 18 დეკემბერს 1921 წელს ადგილი ჰქონდა აზრთა პირველ ფორმალურ გაცვლა გამომცვლას ერთიანი ანტიბოლშევიკური ფრონტის შესაქმნელად და განხილულ იქნა ნოე ჟორდანიას

მიერ წამოყენებული პარტიათა შემათანხმებელი „პაქტის“ პროექტი.

ეს დოკუმენტები დამახასიათებელია მრავალი მხრით.

უწინარეს ყოვლისა აქ თვალში გეცემათ მენშევიკების მიერ თავიანთი პოზიციების მთლიანად ჩაბარება ნაციონალ-დემოკრატიებისათვის. მენშევიკები ებრძოდნენ სხვა პარტიებს, რათა მათ დასთმობოდათ ყველა ინტერპარტიულ და „სხვა“ ორგანოებში სხვებზე მეტი ადგილები, მაგრამ იმავე დროს მენშევიკები იდეურად მოექცნენ ნაციონალ-დემოკრატიების ტომარაში. მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ამ პოზიციების ჩაბარება ნაციონალ დემოკრატიებისათვის მოხდა ნოე ჟორდანიას მხრით თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად პირიქით, წერეთელი, ეს ყველაზე უფრო „პრინციპიალური“ არსება მენშევიკებს შორის, ვერ ახერხებს შეიკავოს თავი პროტესტისაგან, როგორც ეს მისი სიტყვებიდანა სჩანს, ასეთი არა სერიოზული შეთანხმების გამო ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. შეთანხმების პროექტი არ აკმაყოფილებს „სოციალისტ“ წერეთელს და ის ცდილობს უფრო სწორედ, უფრო ღრმად და სერიოზულად გამოსთქვას არა მარტო ამ შეთანხმების მუხლები, არამედ ის წინადადებას იძლევა შემუშავდეს „განთავისუფლებულ საქართველოში“ „დადე-

ბითი მუშაობის“ ერთიანი პლატფორმა ყველა პარტიებისათვის...

ბოლშევიზმთან ბრძოლის საკითხში ეს „უსიმპატიურესი მოღვაწე“ აზროვნებს უფრო რეალურად, კონკრეტულად და ავტორიტეტულად, ვიდრე ყველა ეს ნაც-ონალ-დემოკრატები და ფედერალისტები. როგორ დაეწევიან მას ყველა ეს ქარუმიძეები, სვიმონ მდივნები და სხვანი. და სადავე მიშვებული მიჰქრის დღემდეც ანტიბოლშევიკური ევროპის გატყევილ გზაზე

თუ სად მიჰქნდა ის, ამის შესახებ ქვევით.

ამგვარად, გეგეჰკორის სიტყვებით თუ ვილაპარაკებთ, „არაფითარი უთანხმოება პარტიათა შორის“ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში არ არსებობდა. მოლაპარაკების დაწყებიდანვე სუვევდა სრული ერთსულოვნება.

ნოე ჟორდანიას თანხმდება იცნოს კერძო საკუთრებაც და მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლებაც; თანხმდება გაატაროს ის ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ესურვება ევროპის ბურჟუაზიას; ის გამოტეხით ამბობს, რომ ეს ეკონომიური პოლიტიკა დამოკიდებული იქნება იმ შეთანხმებებზე, რომლებსაც შეჰკრავენ „ისინი ევროპასთან“ და ამ პუნქტებში, რაჟქმა უნდა, „იძულებული ვიქნებით წავიდეთ ეკონომიურ დათმობაზე“.

გვარდიისა და არმიის საკითხებშიც ჟორდანიას ნებდება ბატონ ქარუმიძეს. მაგრამ ნებდება ამაყად;

ის სხვათაშორის გვაუწყებს შემდეგს: თურმე „თუ სახალხო გვარდია არა, ჟორდანიას საქართველო ადრევე იქნებოდა აფეთქებული შიგნიდან თავისი საკუთარი ბოლშევიზმისაგან“.

თუ რა ზომებით ახრჩობდა „საკუთარ“, ქართულ ბოლშევიზმს, რა გზით ჰქმნიდა ის ჟორდანიას ანტიბოლშევიკურ მთავრობის სიძლიერეს,—ეს კიდევ ახსოვთ ოსეთის და აფხაზეთის ათეულ აწიოკებულ სოფლებს, ეს კარგად იციან სამეგრელოს გლეხებმა, განადგურებულმა დუშეთის მაზრის გლეხებმა და თბილისის რევოლიუციონურმა მუშებმა.

და ამ გვარად ევროპაში მიღწეული იქნა შეთანხმება, პროექტი გაიგზავნა საქართველოში, აქ ის „მოიწონეს“, ფრონტი გაიხსნა და დაიწყო გაერთიანებული სისტემატიური ბრძოლა ჩვენს წინააღმდეგ\*).

ამ ავანტიურული ბრძოლის გზებს ოთხი წლის განმავლობაში ჩვენ ვიცნობთ. კარგად იცნობენ მას ქართველი გლეხები და მუშებიც, რომელთაც

---

\*) საინტერესოა ვიცოდეთ, რას იტყვიან ეხლა ანდრონიკაშვილი და მთელი ეს თავადიშვილთა—პარიტეტული ხროვა, რას იტყვიან ამ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ—სად იქნება მათი „ავტორის თავმოყვარეობა და პატრიოტული სიამაყე, როდესაც დოკუმენტალურად დაუმტკიცდებათ, რომ „განთავისუფლებულ საქართველოს“ პრემიერების პრეტენდენტი კ. ანდრონიკაშვილი იყო მხოლოდ უბრალო აღმსრულებელი პარიზიდან მიღებული სხვისი ბრძანებისა.

პირადი გამოცდილებით გაიგეს აგვისტოს ამბების დამლუპველობა.

როგორ შეხვდა ბრძოლის ასეთ დაბოლოებას ქართული ემიგრაცია ევროპაში? რა დარჩა ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ აქტივში იმ ცდების შემდეგ, რომელსაც იგი საქართველოს სხეულზე აწარმოებდა?

5

ჯერ კიდევ დიდი ხნით აჯანყებამდე ემიგრაციაში დაიწყო უკმაყოფილება ყოფილი „მთავრობის“ ტაქტიკით და ამ უკმაყოფილებას ხშირად ხმა-მაღლა გამოსთქვამდნენ.

ამ მხრივ შესანიშნავია ქართული კოლონიის ისტორიული კრება პარიზში, სადაც ს. მდივანმა ჯოხით კინალამ სცემა ნოე რამიშვილს და სადაც გამწვავებული კამათი დამთავრდა თავის დროზე თავიდან აცილებულ დუელით ლენერალ კვინიტაძესა და გეგეჭკორს შორის.

აგვისტოს აჯანყებამ კიდევ უფრო გაამწვავა დამოკიდებულება ცალკე პირებსა და ჯგუფებს შორის, გამოიწვია კიდევ უფრო დიდი დაშლა და დაქსაქსვა გაბოროტებულ ემიგრაციის ფართე მასების რიგებში.

თუმცა რამიშვილი მუქარით ცდილობდა ყოველ კრებაზე დაერწმუნებია თავისი სამწყსო საქართვე-

ლოში ზეიმით დაბრუნების აუცილებლობაში, — მიუხედავად ამისა, ოდესღაც დამაჯერებელი სიტყვები ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრისა უყურადღებოდ რჩებოდა და ემიგრაციის აქტიური ნაწილი არ მალავდა თავის სურვილს სახლში დაბრუნებისას, თუნდაც უბრალო საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურ მოქალაქეების სახით.

რამიშვილს მშვენივრად ესმოდა, რომ ემიგრაციის დაუსრულებელი იზოლიაცია ოდესღაც უნდა დამთავრდეს, მაგრამ ამ იზოლიაციის გარღვევა მეტად არასასურველ შედეგს მოუტანდა ყოფილ მთავრობას. ამიტომ რამიშვილი უყურადღებოდ რასტოვებს: არც ერთ ემიგრანტს: ხმარებაშია მუქარა, ქრთამი, პროვოკაცია, ტერორი და „ზეგავლენის“ სხვა ზომები, გადმოღებული საგანგებო განყოფილების მოკლე ხნის, მაგრამ „სახელოვანი“ პრაქტიკიდან.

დაიწყეს ემიგრაციის მოწყობა. ერთის მხრივ მუდამ თათბირზე მყოფი „მთავრობა“ მინისტრების და მდივნების სრული კომპლექტით; მეორეს მხრივ ლეგაცია ჩხენკელის თავმჯდომარეობით, პარიტეტული კომიტეტი, ფაშისტური ბანდა — თეთრი გიორგი“ (რომელიც ნახევრად საფრანგეთის საიდუმლო პოლიციის სამსახურშია) ქართველ კათოლიკეების საზოგადოება ვიღაც კათოლიკე პრელატის ხელმძღვანელობით და ყველაზე უფრო რეაქციონურ და გათახსირებულ იეზუიტების მონაწილეობით.


აჯანყების შემდეგ ემიგრანტებს შორის დაწყებული მღელვარება თანდათან ფართოვდება და ცდილობს გამონახოს რაიმე გზა თუ არა შერიგებისა საბჭოებთან, სამშობლოში ლეგალურად დაბრუნებისა მაინც.

ამ მხრივ ინიციატივა გამოიჩინა ემიგრაციამ ბერლინში და პრაგაში, სადაც ანტისაბჭოთა კოლონიის ღია კრებებზე და ფრაქციის სხდომებზე გამოდიან, როგორც პარტიის ცალკე წევრები, ისე უპარტიონი ემიგრანტთა ბელადების ტაქტიკის დაუნდობელ კრიტიკით და მოითხოვენ ძველი პროგრამის გადასინჯვას, საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიზმისადმი ტაქტიკის შეცვლას.

ბერლინში მოეწყო სტუდენტების მეორე ჯგუფი (პარველი დაარსდა 1922 წ.), რომელმაც თავის დეკლარაციაში დაჰკმო ანტისაბჭოთა ფრონტის პოლიტიკა და მოითხოვა საბჭოთა ხელისუფლების და წყობილების ცნობა.

ძველმა მენშევიკმა და პარტიის პასუხისმგებელმა წევრმა ჟუმბურიძემ ქართული კოლონიის კრებაზე პრაგაში გადაწყვეტით დაჰკმო ყორდანია რამიშვილის პოლიტიკა და კატეგორიულად მოითხოვა შერიგება საბჭოებთან.

მართალია, ამ გამოსვლის შემდეგ ჟუმბურიძე ჩააჩუმეს. ჩვენ გვაქვს დამამტკიცებელი საბუთები, რომ მას ტერორით დაემუქრენ, მაგრამ ამან მაინც



ვერ შეაჩერა აზვირთებული ტალღა და პრაგაში მოეწყო საკმაოდ დიდი ქართველთა საბჭოთა კოლონია.

ოპოზიციური განწყობილება განსაკუთრებით გაძლიერდა პარიზელ ემიგრანტებს შორის. ოპოზიციის ჩასახვას ხელს უშლიდენ პარიზში მოკალათებული ემიგრაციის ბელადები და საზოგადოებრივი ტერორის ფართე სისტემა როგორც პარტიულების, ისე უპარტიოთა მიმართ. მიუხედავად იმისა, რამიშვილმა ვერ შესძლო ოპოზიციის ჩახშობა და ეს განწყობილება გამოიხატა გრ. ვეშაპელის ხელმძღვანელობით გაზეთ „ახალი საქართველოს“ დაარსებაში.

ამ გაზეთის გამბედაობა, რადიკალობა, ემიგრაციის იდეოლოგიების შეცდომათა შეუბრალებელი და სწორი ანალიზი, პოლიტიკურად საღი და გაბედული კურსი, რომელიც გაზეთმა აიღო ემიგრაციის ცენტრში პარიზში, ამ ორგანოს და მისი ხელმძღვანელის ირგვლივ ჰქმნის თანაგრძნობის და მტრობის ნერვიულ ატმოსფერას.

მაგრამ საჭირო სიტყვა ითქვა, ოპოზიციური განწყობილება ჩამოყალიბდა ორგანიზაციულად. უჯარო ბელადების გაბოროტებული ჯგუფი არ ერიდებოდა არავითარ უღირს მუქარას, მაგრამ „ახალი საქართველოს“ საღათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პოზიციის წინააღმდეგ მათ არსებითად არაფრის თქმა არ შეეძლოთ.

ადვილად გასაგებია, რომ ვერც ეროვნულ-დემოკრატიებმა და ვერც მენშევიკებმა ვერ შესძლეს დარღვევა ვერც ერთი მუხლის, რომელიც წამოაყენა თავის საზოგადოებრივ პროგრამის სახით გახეთ „ახალმა საქართველომ“.

ამის საშუალება კი მათ მრავალი ჰქონდათ, მათ ხელში იყო ბეჭდვითი ორგანოები, რომლებიც გამოდის „დემოკრატიულ“ სახელმწიფოში, სადაც საუბედუროდ, კიდევ არსებობს პრესის თავისუფლება ისეთ ხულიგანურ ფურცლებისათვის, როგორიც არის მენშევიკური „ბრძოლა“, და ასათიანის „სამშობლოსთვის“.

„ახალი საქართველოს“ გამოსვლის შემდეგ დაარსდა მუშათა ჯგუფი, რომელიც პარტიის შიგნით დიდხანს, მაგრამ უშედეგოდ ცდილობდა დაერწმუნებია თავისი ბელადები ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დამღუპველი პოლიტიკის უვარგისობაში. ხსენებული ჯგუფი გამოვიდა ვრცელი დეკლარაციით და გასწყვიტა რა ყოველივე კავშირი ჟორდანიას წერეთელთან, მშვიდობიანად დაბრუნდა საქართველოში.

ამის შემდეგ მოხდა საქართველოს მენშევიკური პროფკავშირების ყოფილი თავმჯდომარის ა. ხელაძის გამოსვლა, რომელიც შეუერთდა ზემო ხსენებულ დეკლარაციას.

აღსანიშნავია, რომ რამიშვილი და კომპანია თავის ანტი-საბჭოთა პროპაგანდაში ყოფილი მენშე-

ვიკების გამოსვლას საქართველოში არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდა, ამტკიცებდა რა, რომ ეს მათი ამხანაგები საშინელი წამების შემდეგ საგანგებო კომისიაში სწერენ თავის მოწოდებებს დახვრეტის შიშის ქვეშ, ზოგიერთების შესახებ კი, როგორც მაგალითად დევდარიანი, თევზაია, გელციშვილი და სხვ. ამბობდენ, რომ ისინი მოსყიდული არიან ფულითო.

ბ-ნი რამიშვილი და კომპანია ამტკიცებდენ, რომ ემიგრაციაში, სადაც სუფევს სიტყვის და აზრის თავისუფლება და ვერ მიწვდება საგანგებო კომისიის ხელი,—ასეთი გამოსვლები შეუძლებელია და ევროპაში არც ერთი ქართველი, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, არაფერს ამდაგვარს არ ჩაიდენსო.

ამიტომ მუშა მენშევიკების გამოსვლამ თვით რამიშვილის პარტიიდან საშინლად გააბრაზა და დააშინა ის, მაგრამ სხვა ვერაფერი გააწყვეს და დაიწყეს თავისი პარტიის გუშინდელი წევრების ცხვირპირის მტვრევა.

## 6.

მაგრამ ბატონი რამიშვილები აკავებენ ემიგრანტებს არა მარტო ცხვირ-პირის მტვრევით. ისინი არ ჩერდებიან ტერორის წინაშეც კი. ამას ამტკიცებს სტუდენტ ყანდარელისათვის რევოლვერის

სროლა ვინმე ძინძიბადის მიურ ქართული ლეგაციის წაქეზებით. მათ არ რცხვენიათ კავშირის საფრანგეთის პოლიციასთან, რომლის ერთგული თანამშრომელი გახდა ბატონი რამიშვილი.

არ დაგვამყოფილდები ცარიელი სიტყვებით და ავლნიშნავ თუნდაც იმ ფაქტს, რომ „საქართველოს ელჩი“ ჩხენკელი საიდუმლო მიმართვით 1925 წ. 8 თებერვლის თარიღით აცნობდა საფრანგეთის „ოხრანკას“, რომ საჭიროა საფრანგეთის საზღვრებიდან გადასახლებული იქნას პოეტი მიწიშვილი („მეგობრულად განწყობილ რესპუბლიკების“ საფრანგეთის და საქართველოს მოქალაქეთა მშვიდობიანობისათვის!), რომელიც, ჩხენკელის სიტყვით, არის „კომუნისტური პარტიის წევრი, გამოგზავნილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ საფრანგეთში ავიტაცია-პროპაგანდისათვის“ (ბ-ნ ჩხენკელის ცნობათ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ დოკუმენტის შემოწმებული ასლი ჩვენს განკარგულებაში იმყოფება), საფრანგეთის პოლიციამ, რა თქმა უნდა, სიამოვნებით შეასრულა ბ-ნ ჩხენკელის თხოვნა და 12 თებერვალს, ე. ი. ოთხ დღის შემდეგ ამხ. მიწიშვილი გადასახლებული იქნა საფრანგეთიდან „კომუნისტური პროპაგანდისათვის“.

„საქართველოს სრულუფლებიან მინისტრის“ მეგობრულ კავშირს საფრანგეთის საიდუმლო პოლიციასთან ხელს უწყობენ მთელი რიგი განსაკუთრე-

ბულ რაზმის აგენტება და ის პირები, რომელთა შესახებ „მინისტრმა“ რეკომენდაცია მისცა საფრანგეთის პოლიციას.

ეს პირები არა შიშის, არამედ სინდისის ქვეშ ასრულებენ „სიურტე-ჟენერალ“-ის (ოხრანკის) უაღრესად სამარცხვინო დავალებებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ ამ ღირსეულ პატრიოტების სახელები: ნ. დგებუაძე, ს. კედია, — „რაძიშვილის განსაკუთრებული რაზმის შეფის შვილი, იმავე დაწესებულების შეფის თანაშემწეს სიძე და გაზეთ „სამშობლოსათვის“ რედაქტორის სპირიდონ კედიას ძმისწული; პლ. ფაჩულია, თავის ყოფილ უფროსის მ. კედიასთან ერთად, სოც.-დემოკრ. პარტიის წევრი ნიკიფოროვი და სხვ.

მაგრამ ყველაზე „დაუჯერებელი სიურპრიზი“ პატრიოტულად განწყობილ ქართველ ინტელიგენციისათვის უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ამ საქმეში წილი უდევს თვით სპირიდონ კედიას, რომელსაც საფრანგეთის კონტრ დაზვერვასთან ურთიერთ დამოკიდებულებაში აქვს ყველაზე მეტი სტაჟი ის ჯერ კიდევ 1922 წელს სტამბოლში პირადათ იღებდა ჯილდოს საფრანგეთის კონტრ-დაზვერვის ოფიცრისაგან 200 ოსმალურ ლირას ამიერ-კავკასიაში წითელი არმიის დისლოკაციის შესახებ ცნობების მიწოდებისათვის.

კიდევ მეტი. სპ. კედია არა ნაკლებად ცნობილ მის კოლეგასა და თანამებრძოლთან ერთად, რომ-

ლის გვარი მშვენივრად მოეხსენება მას, წარუდგ-  
„მის იმპერატორობის უდიდებულესობას, სრულ-  
ლიადა რუსეთის თვითმპყრობელს“ კირილე ვლა-  
დიმირის ძეს, რომელსაც მათ გამოართვეს რამ-  
დენიმე ათასი ფრანკი და წინასწარ დაუდასტურეს  
„სტატუს-სეკრეტარ“ გრაფ ბობრინსკის ქართველი  
ხალხის უქვეშევრდომილესი გრძნობები „საყვა-  
რელ მონარქისადმი“.

ამასთან ერთად ბატონ კედიას არ შერცხვა  
ასეთივე მაღალი გრძნობები გამოეთქვა „უმაღლეს  
წინამძღოლის“ ნიკოლოზ ნიკოლოზ-ძისადმი, რისთვის-  
საც იმპერატორის სალარო № 2-დან მას მიეცა 10  
ათასი ფრანკი აგვისტოს აჯანყების დღეებში „ქარ-  
თული საქმის“ დასახმარებლად. ყველა ეს ფაქტები  
მოეხსენება მთელ ემიგრაციას, კერძოთ, მენშევიკებ-  
მა ყველაფერი ეს ძალიან კარგად იცოდენ, მაგრამ  
ბ-ნმა კედიამაც მშვენივრად იცის თავის თანამებრ-  
ძოლების (პარიტეტული კომიტეტიდან) ამგვარი  
მახინაციები, მათაც მიუღიათ ფულები იმავე წყა-  
როებიდან, მხოლოდ სხვა კასებიდან. ასე მაგალი-  
თად კედიამ მშვენივრად იცის, რომ ყოფილ მეფის  
მოადგილეს ვორონცოვ დაშკოვის შვილი აწარმოებ-  
და მოლაპარაკებას ევგენი გეგეჟკორთან გენერალ  
კუტეპოვის სახელით და უკანასკნელის სახელით  
აღუთქვამდა საჭირო მომენტში დესანტის გადასხ-  
მას საქართველოს ტერიტორიაზე, რათა რუსეთის

სახელმწიფოს ყველა პატიოსანმა პირებმა იბრძო-  
ლონ უზურპატორების, მოძალადეების და მძარცველ  
ბოლშევიკების წინააღმდეგ“, კედამ იცის ისიც  
აგრეთვე, რომ მონარქისტ-ოფიცრების კავშირმა  
პარიზში აჯანყების დღეებში გადასცა „საქართვე-  
ლოს ელჩს“ ჩხენკელს ოფიციალური მისალმება,  
რომელშიაც აცხადებდა, რომ კავშირი მზადაა ყო-  
ველ წუთში ყველა თავისი ძალებით დაეხმაროს  
„უორდანის პატიოსან მთავრობას, რომელიც და-  
ულალავ ბრძოლას აწარმოებს რუსეთის შეურაცხ-  
მყოფელთა წინააღმდეგ“:

ამიტომ ორივე მხარე ამჯობინებენ გაჩუმდენ,  
რადგან ახსოვთ ქართული თქმულება: „შენც სუ და  
მეც სუ“.

ეს სიჩუმე მით უფრო სავალდებულოა ორივე  
მხარისათვის, რომ წინდახედულმა კოალიციონე-  
რებმა დროზე დასდვეს პირობა სპეციალური შემა-  
თანხმებელი „პაქტით“—არ გაილაშქრონ ერთმა-  
ნეთის წინააღმდეგ“ მანამდე... სანამ არ იქნებიან  
დამხობილი ბოლშევიკები (ნეტა როდის მოხდება  
ეს ამბავი!).

თუ მოვიგონებთ ოდესღაც დიდ პოლიტიკურ  
მოღვაწეთა მთელ ამ სინედრონს, არ შეიძლება  
არ შევეხოთ ირაკლი წერეთლის „უკეთილშობი-  
ლეს“ ფიგურას.

საერთოდ არსებობს ქართულ საზოგადოებაში  
პოპულიარული ზღაპარი იმის შესახებ, რომ წერე-

თელი არა თუ რამიშვილის დაშნაკური პოლიტიკის წინააღმდეგია, არამედ ის ვითომც ყოველთვის იყო და არის ავანტურისტული აჯანყების წინააღმდეგი.

ეს აზრი ფორმალურად თითქოს მტკიცდება კიდევ იმ გარემოებით, რომ წერეთელი რამიშვილის\*) დაძლუპველ პოლიტიკასთან „ბრძოლის“ მიზნით სათავეში ჩაუდგა თავის პარტიაში ოპოზიციონურ მუშათა ჯგუფს, რომელიც უკვე დიდი ხანია ცდილობს მონახოს საერთო ენა საბჭოთა ხელისუფლებასა და კომპარტიასთან.

აქ უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ის დოკუმენტები, რომლებიც ჩვენს გაზეთებში იბეჭდებიან, და მთელი ევროპისათვის ცნობილი ყველა ის ფაქტები, რომლებიც ამტკიცებენ, თუ რა როლს თამაშობდა წერეთელი აგვისტოს აჯანყების დროს და როგორი როლის შესრულება შეუძლია კიდევ მას მომავალი ავანტიურების მოწყობაში, თუ კი იქნა ამისათვის „შესაფერი მომენტი“.

წერეთლის ყოფნა ემიგრანტების მეთაურთა შორის დღემდე კიდევ გზას უზნეეს და აკავებს ემიგრანტების გულწრფელ წრეებს, რომლებიც ჰგმობენ ემიგრაციის პოლიტიკას და ცდილობენ მონახონ საერთო ენა საბჭოთა საქართველოსთან.

\*) რომელსაც ის „ქართველ დროს“ (დაშნაკების გენერალი) უწოდებს.

იმ ძინძიბადის ცნობილ პროცესზე, რომელსაც ქართულმა ლეგაციამ რევოლვერი ჩაუდო ხელში მისთვის არა სასურველ საბჭოთა მოქალაქის მოსაკლავად, — მკვლელის დასაცავად გამოვიდა ბატონი წერეთელი და პოლ ბონკურსა და რენოდელთან ერთად წარმოსთქვა უაღრესად პოგრობული სიტყვა. რა თქმა უნდა ძინძიბაძე გაამართლეს და „ნაციონალურ გმირადაც“ კი გამოაცხადეს, მაგრამ ბ. წერეთლის როლი ამით სრულებითაც არ გახდა უფრო კეთილშობილური. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა სასამართლომ ამ განაჩენით, რომელსაც წერეთელმა გაუკეთა სანქცია, ერთხელ კიდევ და ანახვა ჩვენს მტრებს, რომ „დემოკრატიული“ ევროპის ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში დაუსჯელად შეიძლება ცემა და მოკვლა მისი, ვინც გაბედავს პატიოსნად აღიაროს საბჭოთა ხელისუფლება. ამის ჩადენა საფრანგეთშიაც კი შეიძლება იმის შემდეგ, როდესაც წითელარმიელის ხიშტზე წამოგებული თვით საფრანგეთის ბურჟუაზია იძულებული შეიქნა ეცნო საბჭოთა კავშირი.

ამ პროცესმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ „არიან კიდევ მოსამართლენი პარიზში“ და რომ ამ მოსამართლეებს ჰყავთ ერთგული მოკავშირენი ქართველი სოციალისტების სახით. ამ მხრით მართალია, რა თქმა უნდა, ნოე ჟორდანიას, როდესაც ის თავის პარტიული გაზეთის „ბრძოლის“ მეთაურ

სახელმძღვანელო წერილში სწერს: „ბურჟუაზიული ჟრთიერთობა იძლევა ბრძოლისა და მოძრაობის შესაძლებლობას. ის სცნობს აზრის და მოქმედების თავისუფლებას“...

„აზრის და მოქმედების“ ასეუ თავისუფლებამდე მისვლა ჩვენ, რა თქმა უნდა, არ შეგვიძლია და ვერც მივალთ ოდესმე.

„პრინციპიალური“ სოციალისტი კიდევ უფრო შორს მიდის.

მას უმწიკვლო ბატკანად მოაქვს თავი მენშევიკთა მგლების ხროვაში, ხოლო ისეთსავე პოლიტიკას ატარებს, როგორსაც „ქართველი დრო“ — ნოე რამიშვილი. მაგრამ ეს უაღრესად რეაქციონური პოლიტიკა მას გაჰყავს უფრო ელასტიურად და მარჯვედ.

წერეთელის ეს „სიმარჯვე“ განსაკუთრებით ნათლად გამოაშკარავდა იმ მემარცხენედ განწყობილ მენშევიკებისათვის გზა-კვალის აბნევაში, რომლის ნაწილმა მაინც ბოლოს გაარღვია წერეთელის მენშევიზმის მიერ ეშმაკურად მოქსოვილი ბადე და თვითონ მონახა გზა საბჭოთა ხელისუფლებისაკენ წინააღმდეგ წერეთელის სურვილისა.

უნდა ითქვას, რომ ამ მუშების აშკარა გამოსვლას ხელს უშლიდა და უშლის არა მარტო, უკეთ რომ ესთქვათ, არა იმდენად პოლიტიკური გამბედაობის უქონლობა, რამდენადაც პოლიტიკური

შარლატანობა ი. წერეთლისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა მუშათა ოპოზიციას. მუშებმა დაიჯერეს წერეთლის მემარცხენეობის გულწრფელობა და დიდი სიხარულით შეხვდნენ მას. რვა თვის განმავლობაში გრძელდებოდა და ამ ჟამათაც გრძელდება დაუსრულებელი კინკლაობა ოპოზიციასთან, რომელსაც ხელმძღვანელობს წერეთელი. მაგრამ ამ მუშებისათვის მოულოდნელად 1925 წლ. 3 მაისს პარტიულ სხდომაზე ი. წერეთელმა ნ. უორდანიასთან ერთად შემოიტანა რეზოლიუცია, რომლის მეათე მუხლში ნათქვამია: „იმ პირობების მიხედვით, რომელიც დღეს არსებობს საქართველოში, პარტია არ ქმნის სამხედრო-ტექნიკურ ორგანიზაციებს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ საქართველოს ხელსაყრელ მომენტში არ მოუხდება იარაღის ხელში აღება საოკუპაციო ძალაუფლების ჩამოსაგდებად“, რა მიზნითაც „აწარმოებენ მუშაობას საქართველოს კანონიერი მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელობით ორგანოები“-ო (მუხ. 7 იქვე).

რომელ ხელსაყრელ მომენტზე, „როდესაც საქართველომ ხელში უნდა აიღოს იარაღი“, არის ლაპარაკი აქ? — ვეკითხებით ჩვენ, ყოველთვის გულწრფელ“ წერეთელს, და ვინ იქნება ამ „მომენტის“ გამომრკვევი? შეეკითხებიან თუ არა ამის შესახებ წერეთელს, თუ წარსული მაგალითის მიხედვით,

ის ისევ დაიწყებს წუწუნს რენოდელის, მაკდონალდის და ვანდერველდეს წინაშე, რომ აჯანყება მოხდა მისი თანხმობის და მონაწილეობის გარეშე. წერეთელი ხომ თვალეზზე ცრემლებ მომდგარი არ-წმუნებდა თავის თანამებრძოლთ მეორე ინტერნაციონალიდან, რომ არც მან და არც მისმა პარტიამ არაფერი არ იცოდენ საქართველოში მოსალოდნელ აჯანყების შესახებ; რომ ეს აჯანყება იყო სტიქიური, ხალხური. ბ-ნი რენოდელეზი ამავე ზღაპრებს იმეორებდენ წერეთლის შემდეგ. მაგრამ ეხლა, თვით მენშევიკების საბუთებიდან მტკიცდება, რომ პარტიტეტული კომიტეტიც და აჯანყებაც ეწყობოდა მისი თანხმობით და მონაწილეობით. კიდევ მეტი. წერეთელი, როგორც „უცოდველი სოციალ-დემოკრატი“, ჯერ კიდევ 25 წ. მ. შ მაისს ხმას აძლევს რეზოლიუციას, რომლის მიზანია აგვისტოს დღეების განმეორება.

რა არის ეს? რამიშვილის უპასუხისმგებლო ლაყობა, თუ უბრალო მორიგი ტრიუკი წმინდა წყლის და საბოლოოდ გახრწნილ პოლიტიკურ შარლატანისა?

ჩვენ, რასაკვირველია, ერთი წუთითაც ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ არამც თუ მუშების და გლეხების, არამედ ქართველი ინტელიგენციის შოვინისტურად განწყობილი ნაწილიც კი არასოდეს არ წამოეგება მენშევიზმის მოწამლულ ანკესზე და

არასოდეს საქართველოში არ განმეორდება აგვისტოს დღეები.

მაგრამ წერეთელისა და მისი მახანაცხეების შესახებ ჩვენ ლაპარაკი დავიწყეთ იმ მიზნით, რათა ერთხელ კიდევ გვეჩვენებია, რომ ემიგრაციის „პატიოსან კეთილმორწმუნეებმაც“ კი გაჰყიდეს სინიდისი, პატიოსნებმა და მუშათა კლასის ინტერესები დემოკრატიზმის ნასუფრალისა და მეზიანურ კეთილდღეობისათვის და ამ მხრივ, რასაკვირველია, მართალია ნოე ჟორდანიას, როდესაც იმავე გაზეთ „ბრძოლა“-ში სწერს. რომ „ერი ოცნებობს ბურჟუაზიულ ურთაერთობაზე“ და ამიტომ „სოციალიზმს უფრო მეტად საერთო აქვს ბურჟუაზიასთან, ვინემ ბოლშევიზმთან“-ო (ბრძოლა № 1)

7.

მენშევიკების ორგანო „ბრძოლამ“ პირველ ნომერში განაცხადა: „პარიტეტულ კომიტეტის პროცესზე ბოლშევიკებმა მიზნად დაისახეს დაემტკიცებიათ, რომ აჯანყება ნაკარნახევი იყო პარიზიდან“-ო.

მენშევიკები ამ ფაქტს უარყოფენ აჯანყების დამარცხების დღიდან ყოველგვარი საშუალებით და ყველა გაზეთებში, სადაც კი შეეძლოთ. წარმოსადგენია რა ბრძოლა გაჩაღდებოდა პარიტეტიკებს შორის აჯანყების მომწყობ „საპატიო როლის“ მი-

სათვისებლად, ოდნავათ მაინც რომ გამართლებულ-  
იყო სასტიკი ავანტიურა. საკმარისია ის „გაუგებ-  
რობანი“, რომელსაც აჯანყების პირველ დღეებში  
ადგილი ჰქონდა „პარიზის მთავრობაში“, როდესაც  
ემიგრაცია ჯერ კიდევ ტყუებდა პრესას და თავის  
თავს, ბოლშევიკებზე გამარჯვებით და როცა სხდო-  
მებზე ნოე უორდანი საშინლად აშფოთებული იყო  
იმით, რომ საქართველოში გამოვიდა „დროებითი  
მთავრობის“ მოწოდება, მაშინ, როცა კანონიერი  
მთავრობა პარიზში იმყოფება. ეს იყო აჯანყების  
დღეებში, მაგრამ აჯანყება დამარცხდა. ისტორიუ-  
ლი აუცილებლობის ძალით ის გადაიქცა ველურ  
ავანტიურად და ვერაფერი სახელი მოუტანა მის  
მომწყობთ. ბრალდება მეტად მძიმეა, უპასუხისმგებ-  
ლობა, რომელმაც გამოიწვია კატასტროფა, მძიმე  
ლოდათ დააწვა პარტიის პოლიტიკურ სინიღისს. აქ  
ბევრს არ ვილაპარაკებთ. ქვემოდ გამოქვეყნებული  
მასალა თავის თავად ლაღადებს.

**ნოე უორდანი:** „მე ვფიქრობ, რომ უმჯობესი  
იქნება ეს დეკლარაცია საქართველოში შესდგეს და  
ხელიც იქ მოეწეროს. აქ ჩვენ ყველა პარტიები ერ-  
თად ვმუშაობთ, ეს ყველამ იცის საქართველოში.  
საჭიროა მანდ, საქართველოში მოხდეს ფაქტიური  
შეთანხმება და სათანადო დეკლარაციას ხელი მოა-  
წერონ გამოსაქვეყნებლად.

**ევგენი გეგეჭკარი.**—მხარს უჭერს ნოე ჟორდანას აზრს, რომ დეკლარაცია საქართველოში უნდა შეადგინონ და ხელიც იქ უნდა მოაწერონ.

**სიმ. მღვიანი.**—მე მეშინია, რომ თქვენი აზრი, რომ თვით საქართველოში მიხედეს დეკლარაციის ხელის მოწერა—ეს საქმეს დააგვიანებს, რადგან მანდ შეთანხმება უფრო ძნელია, ისინი ყოველივე წვრილმანს აქცევენ ყურადღებას და დიდხანს მსჯელობენ. ამიტომ წინადადებას ვიძლევი აქ შევადგინოთ პროექტი დეკლარაციისა და გადაუგზავნოთ საქართველოში ხელის მოსაწერად“. „ეს აზრი მიღებულ იქნა ყველასგან“. (ამონაწერი 1921 წ. 18 დეკ. ინტერ პარტიული შეთანხმების ოქლიდან).

მიუმატებთ მხოლოდ, რომ პარტიების ეს შეთანხმება არ ყოფილა საქართველოში გაგზავნილი ხელის მოსაწერათაჲც კი, რაც იქიდან სჩანს, რომ გამოქვეყნებულ შეთანხმების ტექსტში არ არის არც ერთი იმ დროს საქართველოში მყოფი პირის ხელმოწერა. ეს კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, რომ მუშების იმ უმნიშვნელო ჯგუფსაჲც კი, რომელიც მაშინ მენშევიკებს მიჰყვებოდა, შეეძლო გაეჭიანურებია საკითხი „აჯანყების“ შესახებ, ამიტომ ნოე ჟორდანას მთავრობა „გაუგებრობათა“ თავიდან ასაცილებლად სრულებით არ აცნობს მათ ამ შემთხვევაში.

გზა და გზა ჩვენ კიდევ შევეხებით ზოგიერთ ფაქტებს ევროპაში მყოფი „მთავრობის“ მოღვა-

წეობიდან და იმ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომელიც მან გადასდგა მათ უდიდებულესობათა ბურჟუაზიულ მთავრობების მიმართ.

ჩვენ აქ შევჩერდებით იმ საშინაო იდეურ გახრწნაზე, რომელსაც ადგილი აქვს ანტისაბჭოთა კოალიცხას შორის ევროპაში.

მიუხედავად იმისა, რომ ანტისაბჭოთა ფრონტის საკომანდო მწვერვალიდან კიდევ გაისმის მოწოდება ბრძოლისაკენ, მიუხედავად ქართველი დიპლომატების ავტორიტეტულ რწმუნებისა, რომ „ევროპა ჩვენს მხარეზეა“ და, რომ „ჩვენი გამარჯვების საათი შორს აღარ არის“, — ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელ წრეებს მაინც არა სწამს თავისი იდეის საბოლოოდ გამარჯვება.

ამით აიხსნება ის დიდი უთანხმოება, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ 1921 წელში, როგორც ყოფ. მთავრობის წევრების, ისე პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა შორის საზღვარგარეთ.

ამ უთანხმოებამ ბოლო დროს მიიღო აშკარა პოლემიკის ხასიათი და გამოიწვია მენშევიკების მიერ 1921 წელში შექმნილ ერთიან ანტისაბჭოთა ფრონტის დაშლა.

საიდან დაიწყო ის უთანხმოება, რომელიც გახდა ჩვენი მტრების გახრწნის, და დაქუცმაცების მიზეზი.

უმთავრესი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ მენშევიკების იმედი ევროპაზე არ გამართლდა და

ორიენტაციაში „დასავლეთ დემოკრატიაზე“ გამოიწვია „დემოკრატიული საქართველოს“ და მისი ბელადების სრული იზოლიაცია და, როგორც მელანქოლიურად შენიშნავს ჩხენკელი, „მხოლოდ ისინი დარჩენ მოკავშირეების გარეშე“.

აქ ჩვენ უფრო დაწვრილებით შევეხებით ბ. ჩხენკელს და მოვიყვანთ მისი მოხსენების ტექსტს, რომელიც მან წაიკითხა პარიზში 3 მარტს 1922 წელს ინტერ-პარტიულ თათბირის მე-8-ე სხდომაზე.\*).

ამ მოხსენებიდან მკითხველი დაინახავს, რომ ყოფილი მთავრობის პერსპექტივა ევროპაში პირველ დღეებიდანვე უმნიშვნელო და არა რეალური გამოდგა. ეს პერსპექტივა სრულებით არ ყოფილა და სწორედ იმიტომ, რომ ევროპამ არ მისცა მენშევიკებს არაფერი რეალური, მათ გადასწყვიტეს შეექმნათ ეს რეალობა აქ საქართველოში და 1922 წელს დანარჩენ პარტიებთან ერთად ხელი მოაწერეს მკითხველისათვის უკვე ცნობილ პარიტეტულ შეთანხმებას, რომლის მიზანი იყო საქართველოში შეიარაღებული აჯანყების მოწყობა და ამით „კულტურული ევროპის საზოგადოებრივ სინიღისზე“ გავლენის მოხდენა.

მაგრამ ვალაპარაკოთ თვით ჩხენკელი:

\*) ჩხენკელის საყურადღებოთ: ამ მოხსენების დედანი აღჟამად ჩვენს განკარგულებაშია.

„ჩვენ ჩავედით დაგვიანებით.—მოახსენებს ის ინტერ-პარტიულ კომიტეტს, ჩავედით 1921 წლ. 13 თებერვალს, მაშინ როდესაც ომი ბოლშევიკებთან დაიწყო 11 თებერვალს. პარიზში ჩასვლისთანავე ჩხენკელი გაეშურა ლონდონის კონფერენციაზე,— „რომლის მიზანი იყო სევრის ხელშეკრულებისათვის რევიზიის გაკეთება. ჩვენ წამოვაცენეთ საკითხი ჩვენი საზღვრების დაცვის შესახებ, მაგრამ მივიღეთ ზრდილობიანი შენიშვნა, რომ „ჯერ თქვენი რიგი არ მოხულა“-ო.

კერზონმა მე მხოლოდ მეორე დღეს მიმიღო (17/III—21 წ.), როდესაც ბოლშევიკების საკითხი უკვე გარჩეული იყო და კავკასიის შესახებ მიღებული იყო ფორმულა, რომელიც ამბობდა „კავკასიის საქმეში ჩვენ არა ვართ დაინტერესებული“-ო. კერზონმა სხვათა შორის სთქვა: „რუსეთის საკითხთან დაკავშირებით ჩვენ უკვე ვერაფერს ვერ დაგპირდებით, მაგრამ თანაგიგრძნობთ კი თქვენ სავსებით. მხოლოდ ოსმალეთის საკითხთან დაკავშირებით შეიძლება თქვენი საკითხის დასმა, როდესაც შევეხებით საერთოდ საბერძნეთ-ოსმალეთის საქმეების გამორკვევას მცირე აზიაში“. კერზონმა გვირჩია გვენახულა ბეკირ-სამი-ბეი, რომელიც იმ დროს პარიზში იმყოფებოდა. რადგან ბერტელომაც კერზონის სიტყვები გაიმეორა, მე ვინახულე ბეკირ-სამი-ბეი, რომელმაც განმიცხადა, რომ

ბათუმზე და მის პროვინციაზე ოსმალეთს არა აქვს პრეტენზიები, საკითხი სდგას მხოლოდ არდაგანზეო.

მთავრობის ჩამოსვლისთანავე მუშაობა განაწილებულ იქნა და ჩემის აზრით, **გაკეთებულია მაქსიმუმ იმისი, რის გაკეთებაც შეიძლებოდა.** (მერე როგორი იყო ეს „მაქსიმუმი“? ლ. ლ.).

მაგრამ ინგლისში ჩვენი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, რადგან იქ ჰქონდათ ყალბი ინფორმაცია და თბილისის დაცემის შემდეგ ფიქრობდნენ, რომ საქართველოს სრულებით არ უომნია. მხოლოდ უკანასკნელი ამბებით შეიძლება დავარწმუნოთ ინგლისი, რომ ქართველი ხალხი არ შერიგებია ბოლშევიზმს.

საფრანგეთში მილიერანი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ჩვენს საქმეებში და გვპირდებოდა ყოველგვარ დახმარებას, **მაგრამ ჩვენი დამარცხების შემდეგ მოტყუებულად ჩასთვალა თავი და საყვედურითაც მიმართა შევალიეს იმისთვის, რომ ის მან შეცდომაში შეიყვანა.**

მთავრობის ჩამოსვლის შემდეგ მრავალი საკითხი გამოირკვა და მათი აზრი შეიცვალა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე შევალიეს მოხსენებებმა და ჩვენი მთავრობის თავმჯდომარის გამოსვლამ, **მაგრამ ეს ცვლილება გამოიხატა მხოლოდ სიტყვიერ თანაგრძნობაში.** ფაქტიურად კი ჩვენი საკითხი ოსმალეთის საკითხს დაუკავშირეს.

ჩვენ უკვე დავიწყეთ ლაპარაკი კავკასიის რესპუბლიკების კავშირზე, რასაც გვირჩევდა ბრიანი, ჩვენ ვითხოვეთ დიპლომატიური დახმარება, ეკონომური ცხოვრების აღდგენა ევროპის კაპიტალის საშუალებით და არმიის შექმნა. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ინგლისი და საფრანგეთი უნდა შეთანხმდნენ ჩვენს საკითხში. ამ დროისთვის იმართება ვაშინგტონის კონფერენცია, მაგრამ ჩვენ გვქონდა მხოლოდ ბრიანს ცარიელი ნოტა იმის შესახებ, რომ საფრანგეთს შეუძლია დახმარება გაუწიოს კავკასიის რესპუბლიკებს მხოლოდ იურიდიულად ცნობილ საქართველოს საშუალებით.

მართალია, ჩვენ უარი გვითხრეს ამ კონფერენციაზედაც იმ მოსახრებით, რომ „ჩვენ არა ვართ ევროპიული სახელმწიფო“, მაგრამ პუანკარემაც არა ნაკლებ ბრიანისა შეისწავლა ჩვენი საკითხი და ჩვენ იმედი გვაქვს მეგობრების დახმარებით გავლენა მოვახდინოთ მასზე. ჩვენ განუცხადეთ პუანკარეს, რომ პირობას ვიძლევით გადავიხადოთ რუსეთის ვალების ნაწილი, რომელიც საქართველოზე მოდის. ამაზე მან გვიპასუხა, რომ ისინი ჩვენთან გამართავენ მოლაპარაკებას, თუ საჭირო გახდება შეთანხმება რუსეთის ვალების შესახებ და თუ გენუას კონფერენციაზე განხილულ იქნება ნავთის საკითხი“.

მაგრამ მაინც — შენიშნავს შორსმჭვრეტელი ჩვენკელი — „ამ უამად ევროპაში არსებობს ისეთი განწ-

ყობილება, რომ აქაური სახელმწიფოები მოსკოვთან დიპლომატიურ კავშირს არ დაამყარებენ“.

ათავეებს რა სამინისტრო „ანგარიშს“ თავის მაღალ ნიჭიერ და სასარგებლო დიპლომატიურ მოღვაწეობის შესახებ სამშობლოს საკეთილდღეოთ, ბ. ჩხენკელი ეხება მეზობლებთან ურთი-ერთობის საკითხს და ლაღადებს:

„რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს, ნაღვლიანად შენიშნავს იგი, სომხებს რუსეთის ორიენტაცია უჭირავთ, აზერბეიჯანელებსა და მთიულებს—ოსმალეთის. მხოლოდ ჩვენ ვრჩებით მოკავშირეებს მოკლებული“.

აი სწორედ ფორმულა, რომელიც სავსებით გამონათავს „დამოუკიდებლობის“ პირველი დღეებიდან დღევანდლამდე ნენშევიზმის ბედილბალს. მაგრამ ბ. ჩხენკელი მხოლოდ ერთში შესცდა—როგორც სომხეთმა, ისე აზერბეიჯანმა მჭიდროდ დაუკავშირა თავისი ბედი მუშურ-გლეხური რუსეთის ბედს.

არა თუ პოლიტიკური ავანტიურისტი, სისხლის სამართლის ტიპიური დამნაშავე უნდა იყო, რომ საკუთარი მდგომარეობის ასე უიმედოთ დახატვისა და იმის აღიარების შემდეგ, რომ საერთაშორისო ბაზარზე საქართველოს საკითხს ამდენად პატარა ფასი აქვს—იფიქრო კიდევ რაღაც „დონკიხოტური“ „გაერთიანებული ფრონტის“ შექმნაზე, რომელსაც

მიზნად ექნება დასახული საკუთარი ძალებით საბ-  
ჭოთა ხელისუფლების ჩამოგდება საქართველოში  
და ამ ბრძოლაში „გაჯიუტებული“ დასავლეთ  
ევროპის ჩათრევა.

მაგრამ მენშევიკები მაინც წავიდნენ ამ გზით და  
ლოდიკურად აგვისტოს ზვანტიურამდე მივიდნენ.

ეს იყო ყველაზე უფრო სერიოზული, ყველაზე  
უფრო გადაჭრილი ცდა რომ ევროპა ფაქტის წინა-  
შე დაეყენებინათ და აეძულებინათ, რომ ის „თანა-  
გრძნობის სიტყვებიდან“ გადასულიყო უშუალო  
დახმარებაზე ფინანსებით და შეიარაღებული ძალით.

მაგრამ ჩვენ ვიცით. თუ რით გათავდა ეს ცდა.

და სწორედ აგვისტოს დამარცხების შემდეგ  
განსაკუთრებით გამწვავდა ემიგრაციაში უთრირთ-  
შორის თანამშრომლობის საკითხი; განსაკუთრებუ-  
ლი სიმწვავეთ გამოირკვა იდეურობას მოკლებული  
ბუნება ინტერპარტიული კოალიციისა.

## 8.

ფრონტი გაარღვია თვით ნოე ჟორდანიამ, რო-  
მელმაც უარი სთქვა იმ ცნობილ ინსტრუქციების  
ავტორობაზე, რომლებიც ევროპიდან საქართველო-  
ში გამოუგზავნა თავის აგენტებს შეიარაღებული  
აჯანყების მოსაწყობად.

შემდეგ გაზეთ „ახალი საქართველოს“ გამოსვ-  
ლამ მთლად გამოამხეურა არაბუნებრივი ინტერ-

პარტიული დამშობილების ყველა დამპალი ადგი-  
ლები.

„ახალ საქართველოს“ თან მოჰყვა პარიზში ს.  
კედის გაზეთი „სამშობლოსათვის“ და ყოველივე  
ეს დაგვირგვინდა გაზეთ „ბრძოლას“ გამოცემით.  
ეს უკანასკნელი მენშევიკების ოფიციალური ორგა-  
ნოა საზღვარგარეთ (სხვათა შორის, მას აღარ  
აწერია ლოზუნგი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,  
შეერთდით“).

მაგრამ გარდა ამ მთავარი, ერთმანეთის მოწი-  
ნააღმდეგე მიმართულებებისა, რომლებიც ჩამოყა-  
ლიბდნენ ევროპაში ემიგრაციის იდეოლოგიებს შო-  
რის და რომლებმაც საბოლოოდ დაშალეს ანტი-  
საბჭოთა გაერთიანებული ფრონტის იდეები, ჩვენ  
წინა წერილებში აღვნიშნეთ კიდევ სერიოზული  
უთანხმოებანი თვით მენშევიკური პარტიის რი-  
გებში.

არაფერი ახალი და საინტერესო ამ ემიგრან-  
ტულ ქაობში, რა თქმა უნდა, არ არის, მაგრამ ეს  
წერილობითი და ზეპირი სიტყვების უთავბოლო  
რაზარზხი ემიგრანტების მეთაურების მიერ მეტად  
დამახასიათებელია ყველა ქართველი ანტიბოლშევი-  
კური მალაქპატრიოტული მოღვაწეობის დასაფასებ-  
ლად.

ნაციონალ-დემოკრატიების შორის აღძრული პო-  
ლემიკის ბუნება გამოიხატება ი აში, რომ ერთნი

ბრალსა სდებენ მეორეებს, ვითომც მათ აქვთ „ხიდის აგების“ სურვილი საკუთარი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების შუა. ორივე ბანაკი იბრძვიან იმის გამო, რომ ამ „ხიდის“ აგება ხდება არა ინტერპარტიულად, არამედ სეპერატიულ ნიადაგზე.

ბატონი „ბელადების“ დასამშვიდებლად შევნიშნავთ, რომ არც ერთი იქაური ერთმანეთზე გადაკიდებული პარტია ჩვენ არ გვაინტერესებს; მთავრობას შეუძლია ამნისტიით დააბრუნოს და დააბრუნებს კიდევ ამა თუ იმ ემიგრანტებს პერსონალურად, მაგრამ არავითარი ლაპარაკი არა თუ „ხიდზე“, არამედ საერთოდ რაიმე კონტაქტზე ჩვენსა და „იმათ“ შორის, ვიდრე ისინი პოლიტიკურ კოლექტივს წარმოადგენენ, არ შეიძლება.

ეს კარგად უნდა ახსოვდეს თვითნოე ჟორდანიას წლევეანდელი გამოცდილების მიხედვით.

ჩვენი პოზიცია ნათელია: ქართული ემიგრაცია გაერთიანებას ვეღარ შესძლებს, და თუნდაც გაერთიანდეს, მისი მნიშვნელობა ამ ჟამად უდრის ნულს.

ამიტომ არც გაერთიანებული, არც დაქსაქსული ემიგრაცია, როგორც კოლექტივი, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვაინტერესებს და არც დაგვაინტერესებს მომავალში, რაგვარიც არ უნდა იყოს მათი მისწრაფება იქითკენ, რომ გვიჩვენონ თავიანთი „პატრიოტული გატაცების“ „დიდი ძალა“.

სულ სხვა არის შინაური ემიგრაცია, მაგრამ იმასთან ლაპარაკი სხვანაირად არის საჭირო.

ჩვენი დამოკიდებულების ხასიათი დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან შეუძლებლად ხდის საბჭოთა კავშირის კარები გაეღოთ კაპიტალისტური დასავლეთიდან მომდინარე ყოველგვარ „გავლენებს“. მუშათა კლასის დიქტატურის პრინციპი კი, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ეყრდნობა, დაუშვებლად სცნობს რ სპუბლიკის შინაურ ცხოვრებაში გავატაროთ ის „თავისუფლებანი“, რომლებითაც ამჟამად „დემოკრატიული“ ევროპა და რომელთა შესახებაც ასე მხურვალედ ოცნებობენ ბედით დაჩაბრული ჩვენი მტრები. ამიტომ ინტელიგენტ-ობივატელს, რომელიც ფილისტერი და მეშჩანია არსებითად, საშუალება არა აქვს უშუალოდ ადევნოს თვალი ევროპაში თავის საუკეთესო წარმომადგენლების „მოღვაწეობას“. ეს საშუალო ინტელიგენტური მეშჩანინი, რომელსაც გულმოდგინედ აბრუებენ პატრიოტული საკმეველის ხრჩოლვით მენშევიკური აგენტები—რათქმა უნდა, „საქმის ვითარებასთან გაცნობილი არ არის“. ჩვენ ის არ გვიჯერის და ერთად ერთი, რითაც მისი შეთხელებული ტვინი იკვებება, ეს არის „რადიო-ჭორი“. ავვისტოს ავანტიურამ გაჰფანტა ეს ილიუზიები და ეხლა ვგონებ ყველაზე უფრო გულუბრყვილოებსაც კი აღარ იტაცებს რადიო-სისულელე. მაგრამ მაინც 1917 წლის ოქტომბრიდან ჩვენში შექმნილი მდგომარეობის დროს, „იმ ნაპირიდან,, ნასროლი უსინდისო და მაცდური პროვოკაცია ხანდახან ფეხს იკიდებს ხოლმე რევოლიუციის გავლე-

ნათ ჩამოქვეითებულ ელემენტებ შორის და მართლა აღწევს მიზანს.

ეს გარემოება მშვენივრად აქვთ გათვალისწინებული ჩვენს მტრებს საზღვარ-გარედ, და ისინი მოხერხებულად სწამლავენ საბჭოთა ატმოსფერას ყოველგვარი ინსტრუქციებით, მიმართვებით, ყალბი ინფორმაციით, ზოგჯერ კი თითქმის თავიანთი სიმართლის დასამოწმებლად ისინი გამოგზავნიან არალეგალურ პირებს „თავისიანების“ გასამხნეველად და „მცხოვრებთა შორის სულიერი განწყობილების ასაწვეად“. არიან ბევრი ისეთები, როგორც ზევით ითქვა, რომლებიც ეგებიან ამ ანკესზე.

მათ შეიძლება ვუტყვიანთ გაახილონ თვალი და გადახედონ ევროპის სინამდვილეს, რათა ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდნენ, რომ ყველა ის „ბელნიერი შესაძლებლობანი“ და პრესპექტივები, რომლებიც მათ ეხატებათ „იქიდან“ მოსული ცნობების გამო—ნაყოფია მხოლოდ და მხოლოდ იმ „ბელადების“ უნიადაგო ჭორებისა, რომლებიც ჩამსხდარან „იქ“ და ცდილობენ „იხსნან საქართველო „ოკუპანტებისაგან“ „სრულიად რუსეთის“ იმპერატორების დახმარებით.

მაგრამ არის საქართველოში მეორე ელემენტი, სხვა კატეგორიის პირები, რომელსაც შეიძლება შინაური ემიგრაცია ვუწოდოთ და რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით სძულს, თუმცა

სწორედ იმათ არა მართებთ ჩივილი ჩვენს წინააღმდეგ. ეს ხალხი ყოველგვარი საშუალებით სცდილობს გამოფინოს თავისი მტრული განწყობილება საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ისინი სისინებენ ჩვენს დაწესებულებებში, ჭორიკანობენ, მიძვრებიან ლიტერატურაში, ყველგან და ყოველთვის ისინი მრავალმეტყველი სახით ჩასჩურჩულებენ ობივატელს ფანტასტიურ აბდაუბდას. ეს „დემონსტრაცია“ არც თუ კურიოზებს არის მოკლებული. ბნელი მახინაცობის წყალობით გამდიდრებული წვეროსანი სპეკულიანტები, უწვერული თმახუჭუჭა ქერუბიმები, რომლებიც ისტორიულად იფხანენ გულს პატრიოტული პათოსით რომელიმე შორივი „დიდი ქართველის“ კუბოს წინიშე, თითო-ოროლა პოეტი, რომლებიც პრეტენზიებს ატარებენ კულტურულობაზე და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე—ყველა ესენი ეწყობიან ძველებურ... ჩოხაში.

შეიძლება ჩოხა მართლაც ლამაზი იყოს; შეიძლება ის უფრო იაფი იყოს ევროპიულ კოსტუმზე, მაგრამ კომიკური ის არის, რომ თვით ეს უდანაშაულო ჩოხაც კი სამშობლოს საფიც „ჭირისუფალთა და მხსნელთა“ ფიგურაზე დემონსტრაციის იარაღად გადაიქცა. ამავე დროს იქაც პარიზში ქართველი მენშევიკები ჩხენკელისა და კათოლიკურ მონსენიორთა ლოცვა-კურთხევით აარსებენ „თეთრი გიორგის“ ხელიგნურ ორდენს, რომლის მოღვაწეობა საბჭოთა

ხელისუფლების მოქალაქეებზე ბანდიტურ თავდასხმებში გამოიხატება,

„თეთრი გიორგი“ და „შავი ჩონა“!

ჩვენ შეგვიძლია მიულოცოთ ნოე ჟორდანიას ამ „ყველაზე უფრო დიდ“ ქართველს მათ შორის, რომ მის ოჯახს მიემატა კიდევ „ჭეშმარიტი“ ქართველი „პატრიოტების“ „მორიგი“ კომპანია.

### შეთანხმება-ხელშეკრულება.

სოციალ-დემოკრატიულ, საქართვე. დემოკრატიული (გაერთიანებული ეროვნ.-დემოკრატიული, ეროვნული, რადიკალ-დემოკრატიული პარტიები და უპარტიოთა ჯგუფი) და სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის შორის.

#### 1 მ უ ხ ლ ი

საქართველოს პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს უთანხმდებიან რუსეთის ოკუპაციის მოსასპობად და დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღსადგენათ. ამ მიზნით, შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულებას კისრულობენ მთელი თავისი ძალდონით იბრძოლონ ოკუპანტების წინააღმდეგ, ემზადონ გამოსვლისათვის საოკუპაციო მმართველობის გასაუქმებლად და საჭირო უამს მთელი თავისი ძალა-გავლენით ამ გამოსვლაში მონაწილეობა მიიღონ.

## 2 მ უ ხ ლ ი

საქართველოს კანონიერ მთავრობად შეთანხმების მონაწილე პარტიები კვლავინდებურად უცხოეთში მყოფ ნოე ჟორდანიას მთავრობას სთვლიან, რომელიც შეთანხმების ფრაქციათა წარმომადგენლებით შევსებულ, დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმთან ერთად, ხელმძღვანელობს პოლიტიკურ მუშაობას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის აღსადგენათ.

## 3 მ უ ხ ლ ი

საქართველოს ხალხის დარაზმვა, განმათავისუფლებელ ლაშქრის მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა ოკუპაციის გასაუქმებლად, საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს აქვს მიზნობილი. ამავე კომიტეტს ევალება, ოკუპაციის გაუქმების შემდეგ, უცხოეთიდან კანონიერ მთავრობის დაბრუნებამდე—სახელმწიფოებრივი წესრიგის დაცვა.

## 4 მ უ ხ ლ ი

მთავრობასთან ერთად უცხოეთიდან ბრუნდება დამფ. კრების პრეზიდიუმი, რომელიც დაუყოვნებლივ (და არა უგვიანეს ერთი კვირისა) იწვევს დამფუძნებელი კრების სხდომას.

დამფუძნებელი კრება მოისმენს შთაფრობის და განმათავისუფლებელ კომიტეტის ანგარიშებს, ადგენს კოალიციურ მთავრობას, უხსნის მას სათანადო კრედიტებს, გამოსცემს საარჩევნო კანონს და ნიშნავს პარლამენტის არჩევნებს არა უგვიანეს სამი თვისა.

შეთანხმების მონაწილე პარტიებს საჭიროდ მიაჩნიათ, რომ დამფ. კრებამ გადასინჯოს კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სხვა საკითხების განხილვა და პარლამენტის არჩევნების ვადის გაგრძელება უნდა მოხდეს შეთანხმების ყველა მონაწილე პარტიათა დასტურით.

## 5 მ უ ხ ლ ი

დამფუძნებელი კრების მიერ შედგენილი კოალიციური მთავრობა განაგებს ქვეყანას პარლამენტის შეკრებამდის და მის უმთავრეს საზრუნავ საგანა შეადგენს:

ა) ოკუპაციის მიერ ნაანდერძევი ანარქიის მოსპობა და სახელმწიფოებრივი წესრიგის განმტკიცება;

ბ) ევროპის სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ მოკავშირეთა მოძებნა, მოწინავე ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიური ურთიერთობის დამყარება და საქართველოში დემოკრატიულ სახელმწიფოებში არ-

სებულ ეკონომიურ პოლიტიკის განხორციელება და  
გ) უცხოელ ინსტრუქტორების დახმარებით,  
სამხედრო ძალის მოწყობა ერთ სისტემიანი რეგულ-  
ლიარული ჯარის სახით.

## 6 მ უ ხ ლ ი

პარლამენტის არჩევნებს ხელმძღვანელობს დამფ-  
კრების მიერ დანიშნული კოალიცაური ცენტრალუ-  
რი საარჩევნო კომისია.

ადგილობრივ არჩევნების ხელმძღვანელობა ეკუ-  
თვნის ადგილობრივ თვითმართველობას, რომელიც  
თავიდანვე ადგენს ყველა საარჩევნო კომისიას კოა-  
ლიციურად, ადგილობრივ არსებულ პარტიათა წარ-  
მომადგენლებისაგან.

არჩევნების თავისუფლების უზრუნველსაყოფად,  
ადმინისტრაცია და მილიცია საარჩევნო სფეროში  
ემორჩილება საარჩევნო კომისიებს.

## 7 მ უ ხ ლ ი

შეთანხმების მონაწილე პარტიები თავს მოვალე-  
თა სთვლიან ხმოსანთა ახალ არჩევნებამდე, ქალაქ-  
თა და ერობათა საბჭოსა და ყრილობებზე კოალი-  
ციური გამგეობანი აირჩიონ.

## 8 მ უ ხ ლ ი

შეთანხმების მონაწილე პარტიები ვალდებულე-  
ბას კისრულობენ რუსეთის ოკუპაციის გაუქმებამდე

ერთი მეორის საწინააღმდეგო საჯარო გამოსვლები არ მოახდინონ.

## 9 მ უ ხ ლ ი

ამ შეთანხმებას შეუძლია შეუერთდეს, არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან შეთანხმების ტექსტის ჩაბარებისა, საქართველოს დანარჩენი პოლიტიკური პარტიებიც, იმ აუცილებელი პირობით, რომ

ა) უცვლელად მიიღებს ამ შეთანხმებას და შეუერთდება სამი პარტიის მიერ გამოცემულ მიმართევებს,

ბ) საჯაროდ განაცხადებს, რომ ის უარყოფს რუსეთის ოკუპაციას და მიზნად ისახავს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას. პარიზი 3 მარტი 1922 წელი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით ხელს ვაწერთ:

ნიკოლოზ სიმონის ძე ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი.

საქართველოს დემოკრატიული (ეროვნ. დემოკ. ეროვნული, რად დემოკრატი., — უპარტიოთა) პარტიის სახელით:

გრიგოლ ვეშაპელი, ლ. ჯაფარიძე რ. გაბაშვილი, გრ. აღშიბაია, ე. თაყაიშვილი.

საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის სახელით: ს. მდივანი, კ. კობახიძე.

# საერთაშორისო მდგომარეობა და ანთისაზიკოთა პარტიიზმის მუშაობა.

(მოხსენება ქართ. ინტელიგ. კრებაზე 1927 წ. 5 აგვისტოს).

## ორი ძირითადი ფაქტორი

მოქალაქენო! მე აქ არ მოვსულყარ იმ განზრახვით, რომ ვრცელი მოხსენება გავაკეთო საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ასეთი მოხსენების გაკეთება ამ კრებაზე ზედმეტად მიმაჩნია, ვინაიდან თვით ამ კრების კვალიფიკაცია გარანტია არის იმისა, რომ აქ დამსწრე პირები საკმაოდ გაცნობილნი არიან საერთაშორისო მდგომარეობას, მით უმეტეს, რომ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში საამისო მასალები ვრცლად ქვეყნდება. ამ მასალების მიხედვით ყოველივე თქვენგანს, ალბათ, უკვე შედგენილი აქვს გარკვეული წარმოდგენა დღევანდელ საერთაშორისო ვითარების შესახებ. აქ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ამ ვითარების შეფასებაზე. რამდენათაც ეს ასეა, მე შევჩერდები მხოლოდ ამ საერთაშორისო მდგომარეობის ძირითად საკითხებზე და ფიქრობ — დამსწრენი გამოსთქვამენ თავიანთ აზრს ამ საკითხის ირგვლივ.

მოქალაქენო! დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ხასიათდება ორი ძირითადი ფაქტორით: ერთია — კაპიტალისტური ქვეყნების ურთიერთ-შო-

რის დამოკიდებულება; მეორე—ამ კაპიტალისტურ ქვეყანათა განწყობილება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რევოლუციის მიმართ.

უკვე 13 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს თვითმპყრობელებმა, განსაკუთრებით ანგლის-გერმანიის ბურჟუაზიამ, თავს მოახვია ქვეყნიერებას უსაშინელესი ომი. გუშინ შესრულდა 13 წელი მას შემდეგ, რაც მსოფლიო სოც.-დემოკრატიამ ხმა მისცა თავიანთ ბურჟუაზიულ მთავრობებს „სამშობლოს დაცვის“ საკითხში. ამნაირათ დაადასტურა მან სამხედრო კრედიტები და ის მდგომარეობა, რომლითაც ეგრედ-წოდებული „სოციალისტები“ გარდაიქცნენ ბურჟუაზიის ხელ-ქვეითებათ ისეთ საკითხებშიაც კი, როგორიც არის ომის საშუალებით მშრომელი ხალხის განადგურება.

და დღეს, ჩვენ შეგვიძლია შევადგინოთ ჯამი იმ „მიღწევებისა“, რაც მსოფლიო ომმა მოუტანა კაცობრიობას და გამოვარკვიოთ, შესძლო თუ არა ამ მსოფლიო ომმა მოეწესრიგებინა ის მტკივნეული საკითხები, რომელნიც ომის მიზეზს შეადგენდენ: 10 მილ. დახოცილი, 19 მილ. დასახიჩრებული, ე. ი. კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის 29 მილიონი სრულებით განადგურებული, ხოლო არსებულ მტკივნეულ საკითხების კიდევ უფრო მძაფრი გამწვავება—აი მთელი „მიღწევები“ ამ ომისა!

## ახალი ომის საფრთხე

მაგრამ, როგორც სჩანს, მსოფლიო ბურჟუაზიისათვის კაცობრიობის მიერ გაღებული ესოდენი მსხვერპლი არ ყოფილა საკმარისი და იგი 13 წლის შემდეგ, კვლავ მისცემია ომის სამზადისს კიდევ მეტი ინტენსიობით.

მე ვფიქრობ, რომ ამ კრებაზე არ აღმოჩნდება არავინ, ვინც დაეჭვდება იმაში, რომ კაცობრიობა არასოდეს ისე ახლო არ მდგარა ომის საფრთხის წინაშე, როგორც დღეს და რომ არასოდეს არ ყოფილა ომის საშინელება ისე რეალური, როგორც მიმდინარე მომენტში. დამეთანხმებით იმაშიც, რომ დღეს მოსალოდნელი ომის მეთაური და ხელმძღვანელი არის ინგლისის ბურჟუაზია: ყველაზე უფრო ჭკვიანი, შორსმჭვრეტელი, მომზადებული და ამავე დროს ყველაზე უფრო გაიძვერა და ვერაგი.

ინგლისის ბურჟუაზიის ასეთი მეთაურობა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის—ეს გამომდინარეობს ინგლისის ბურჟუაზიის მთელი ისტორიიდან და სწორედ ამ ბურჟუაზიის მეთაურობით აპირებს ევროპა ომს და სცდილობს ამ ომის საშუალებით საბჭოთა კავშირის განადგურებას.

ამის დასამტკიცებლად მე შემიძლია მოწმეთ მოვიყვანო ისეთი ავტორიტეტი, როგორიც არის ჟურნალ „ობსერვერის“ ხელმძღვანელი ჰარვინი—კონ-

სერვატორული ინგლისის თანამედროვე იდეოლოგი, რომელიც თავის ჟურნალის ფურცლებზე სწერს რომ, ბოლდუინ-ჩემბერლენის მთავრობა თავის პოლიტიკით კაცობრიობას უმზადებს ახალ გართულებას და ამავდროულად მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირისადმი მიმართულია ომის გამოსაწვევად. მე შემძლია კიდევ დავიმოწმო ცნობილი ლოიდ-ჯორჯი: როდესაც მას უთხრეს, რომ ისეთი პოლიტიკისათვის, როგორსაც თანამედროვე კონსერვატორები აწარმოებენ, კარლოს 1-ლს თავი მოკვეთესო, ლოიდ-ჯორჯმა უპასუხა: მას თავი ჰქონდა და მოკვეთეს, მაგრამ კონსერვატორებს რას მოკვეთენ, როდესაც ეს თავი არ გააჩნიაო. მისი სიტყვით ასეთი რეაქციონური პოლიტიკა ინგლისს არ უწარმოებია კარლოს 1-ის შემდეგ; და თუ რას ნიშნავს, როდესაც ლოიდ-ჯორჯი უსაყვადურებს კონსერვატორებს რეაქციონურ პოლიტიკას—ეს თქვენ დაასკვნით!

დასასრულ მოვიყვან, მოქალაქენო, თქვენთვის უფრო ნაცნობ პირთა აზრს, იმ პირთა აზრს, რომელნიც ჯერ ჯერობით ქართველ მოქალაქეთა ზოგიერთ კატეგორიისათვის კიდევ წარმოადგენენ რაღაც ავტორიტეტს, მე მოვიყვან ნოე ჟორდანიას—ნოე რამიშვილის აზრს. რომლებზედაც არ შევჩერდები დიდხანს, რადგან ეს აზრები ამ უკანასკნელ დროს, ვრცლად იყო გამოქვეყნებული ჩვენს პრესაში; მოგაგონებთ, მხოლოდ, თუ რას სწერს ნოე ჟორდანიას ცნობილ აბესალომს (ანუ ქარცივაძეს):

„ან ჟამად ინგლისი ახდენს ანტისაბჭოთა ძალე-  
ბის თავის შეყრას. ევროპის პოლიტიკის მთავარი  
ღერძი აქ მარხია“.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ არც ერთი  
ამ მოწმეთაგანი საბჭოთა კავშირის მოტროფიალუ არ  
არის და მე მგონია, რომ თქვენს შორის არ იქნება  
არავინ, ვინც რეალურად არ ხედავდეს დღეს იმ  
დიდ საფრთხეს, რომელსაც ევროპის ბურჟუაზია  
უმზადებს საბჭოთა კავშირს და მთელს მშრომელ  
ხალხს, ომის სახით.

რატომ მოხდა, რომ ევროპის ბურჟუაზიამ სწო-  
რედ ეხლა მოიწადინა ომის გამოცხადება? იმიტომ,  
რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისი (ე. ი. კაპიტა-  
ლისტური წესწყობილების კრიზისი), რომელიც არ  
შეწყვეტილა მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ,  
განსაკუთრებით გამწვავდა სწორედ დღეს; მეორე  
მხრივ—ბურჟუაზიისა და მისი ეკონომიკის ხელმძღ-  
ვანელნი საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ სა-  
ბჭოთა წესწყობილებას არამც თუ შეუძლიან ეკო-  
ნომიურად გაძლიერება, არამედ შეუძლიან ისეთი  
ჩქარი ტემპით ზრდა, რაც არ სჩვევია არც ერთ  
კაპიტალისტურ ქვეყანას მისი განვითარების საუკე-  
თესო პერიოდშიაც კი, რაკი ბურჟუაზიული ევროპა  
და, განსაკუთრებით, მისი მეთაური კონსერვატიული  
ინგლისი, დარწმუნდა იმაში, რომ შეუძლებელია  
ჩვენი ჩახრჩობა „მშვიდობიანი“ მეთოდებით—ეკო-

ნომიური ოპით და სხვ., დარწმუნდა იმაში, რომ შეუძლებელია აგრეთვე, საბჭოთა ხელისუფლების ბურჟუაზიული გადაგვარება (როგორც ამას მუდამ ამტკიცებდა მილიუკოვი და უცხო „მეცნიერნიც“), — მან ეხლა მოიწადინა საბოლოოდ სცადოს ბედი უკვე იარაღით ხელში, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება დღითი-დღე აახლოვებს ევროპას ბურჟუაზიის აღსასრულს.

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ინგლისის კონსერვატორების პირველი შეტევა: მე მოგაგონებთ თქვენ კერზონის ცნობილ ულტიმატუმს, რომლის შედეგი, რასაკვირველია, უთუოდ ომი უნდა ყოფილიყო, ის ამისათვის იყო განზრახული და ინგლისის მუშათა კლასმა მკაცრი პროტესტი განუცხადა „თავის“ მთავრობას და დაანახა კერზონ-ბოლდუინებს, რომ ეს პროტესტი ხუმრობა არ არის.

### ჩვენი პოლიტიკა ომის საკითხში

როგორი არის ჩვენი პარტიის და მთავრობის პოლიტიკა ამ მომავალ ომის მიმართ? ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგნი ვართ ომისა, ჩვენი პოლიტიკა მუდამ მიმართულია ომის წინააღმდეგ და მშვიდობიანობის დასამყარებლად. რასაკვირველია, ჩვენ იმიტომ კი არა ვართ ომის წინააღმდეგი, რომ „შეურიგდით“ ბურჟუაზიას, ან შეაძლებლად ვთვლიდეთ ჩვენს და მათს მუდმივ თანაარსებობას, — (ორ

მოწინააღმდეგე ბანაკის ერთად პარალელურ არსე  
ბობას, — ბრძოლა ჩვენს შორის, რასაკვირველია იარ-  
სებებს მანამდე, ვიდრე რომელიმე ჩვენთაგანი არ-  
სებობს), არც იმიტომ ვართ ომის წინააღმდეგნი,  
რომ ბურჟუაზიის გვეშინიან და დამარცხებას მოვე-  
ლოდეთ, არა, სრულებითაც არა! ჩვენ წინააღმდეგ-  
ნი ვართ ომის იმიტომ, რომ ერთის მხრივ — ჩვენ  
დღეს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში ვიღწვით  
ყოველდღიურათ მშრომელი ხალხის პოლიტიკური  
სიმტკიცის და ეკონომიური კეთილდღეობის დასამ-  
ყარებლად და ყოველგვარი ომი უთუოდ დროებით  
შეაჩერებს ამ ინტენსიურ მუშაობას; მეორეს მხრივ  
— ომი მოითხოვს დიდ მსხვერპლს სწორედ მშრო-  
მელ მასებისაგან, როგორც ჩვენში, ისე ბურჟუაზიულ  
სახელმწიფოებშიაც.

ბურჟუაზიას ომი უყვარს; მაგრამ არა თავის  
არამედ მშრომელთა ხარჯზე. ყოველ ომში იხოცება  
მშრომელი ხალხი. ჩვენს ინტერესს შეადგენს დაცვა  
და განვითარება ამ მშრომელ მასის და, არა მათი  
განადგურება! ეჭვს გარეშეა, რასაკვირველია, რომ  
ჩვენი პარტია მუდმივ იბრძვის კაპიტალისტურ წეს-  
წყობილების დასამხობათ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს  
თვით ამ ბურჟუაზიულ ქვეყნების მშრომელთა მასების  
თვით გამორკვევით და მათი აქტიური რევოლიუ-  
ციონური წინსვლის საშუალებით.

მაგრამ მიუხედავად ჩვენი მშვიდობიანი პოლი-  
ტიკისა, ომი მაინც აუცილებელი ხდება, რადგან ამ

საკითხს საბოლოოდ ჩვენ კი არა ვწყვეტთ, არამედ სწყვეტს ევროპის ბურჟუაზია, მხოლოდ თუ ჯერ კიდევ ომი არ დაწყებულა და შესაძლოა არც ამ წელიწადს მოხდეს—ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ინგლისის კონსერვატორებმა ვერ მოახერხეს ჯერ-ჯერობით თავისი გეგმები პრაქტიკულად შეუთანხმონ ევროპის დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნების ინტერესებს.

ვგონებ პირველი მაგალითია ისტორიაში, რომ ორ დიდ სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობა ისეთი არა დიპლომატიური წესით შესწყდეს, როგორც ეს ეხლახან მოხდა ჩვენსა და ინგლისის შორის და მას ომი დაუყოვნებლივ არ მოყოლოდეს,—ინგლისმა ყველაფერი მოიმოქმედა იმისათვის, რომ ომი დაწყებულიყო და თუ ეს მაინც არ მოხდა, ვიმეორებ, მხოლოდ იმიტომ, რომ კონსერვატორებმა ვერ მოახერხეს ჯერ-ჯერობით შეეკრათ კაპიტალისტური ქვეყნების მტკიცე ბლოკი ჩვენს წინააღმდეგ.

ვერც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა ჩვენ ომს ვერ გამოგვიცხადებს, თუ ის ამ ომში აქტიურად არ ჩაითრევს რუმინიას და განსაკუთრებით პოლონეთს, ვინაიდან მხოლოდ ამ ორ მოსახლვრე სახელმწიფოთ შეუძლიათ პირდაპირი იერიში მოიტანონ ჩვენს წინააღმდეგ. ინგლისმა ჯერ ვერ მოახერხა პოლონეთის სავსებით გადაბირება და ჩვენს წინააღმდეგ

ამხედრება. ამას მოწმობს პოლონეთის საქციელი  
ამხ. ვოიკოვის მკვლელობის საქმეში; რა თქმა უნდა,  
პოლონეთმა ეს ქნა არა იმიტომ, რომ მას ომი არ  
უნდოდა, არამედ იმიტომ, რომ დღეს-დღეობით მას  
არ შეუძლია, პოლიტიკური, ეკონომიური და მრავალ  
სხვა გართულებათა გამო (გაფიცვები სამრეწ-  
ველო რაიონებში, ეროვნულ უმცირესობათა მღელ-  
ვარება და სხვ.). ინგლისი კი საკუთარ ძალებით ომს  
ვერ დაიწყებს. რადგან მას საკმაო ხმელეთის ჯარი  
არა ყავს და მისი სამხედრო ფლოტის ძლიერებას  
ჩვენთან ომში, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს,  
უკიდურეს შემთხვევაში, მას შეუძლია ჩვენს სანაპი-  
რო ქვეყნების დანგრევა. (მაგრამ ჩვენ ხომ გვაქვს  
ზოგი რამ ისეთი, რაც ღირსეულათ დახვდება თვით  
ინგლისის ფლოტსაც); მეორეს მხრივ, საერთოდ,  
ხომ ინგლისს არასოდეს საკუთარი ძალებით არ  
უბრძოლია და მისი ისტორია ეს არის ისტორია  
ვერაგული და გაიძვერა ინტრიგების, რომლის სა-  
შუალებითაც სხვას აბრძოლებდა და აბრძოლებს  
ალბათ მომავალშიაც; თავის საკუთარი ინტერესე-  
ბისათვის. ამჟამად ინგლისის კონსერვატორები ყო-  
ველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავის გეგმების  
ხლართში ჩაითრიონ გერმანია, საფრანგეთი და იტა-  
ლია; თუ ეს განზრახვა ჯერ ჯერობით სისრულეში  
არ არის მოყვანილი, ჩვენ თვალებს ნუ ავიხვევთ,  
საშიშროებას პირდაპირ უნდა შევხედოთ თვალეში;  
ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლაში ბურჟუაზიის შეთან-

ხმება არც ისე ძნელია და ამის დამამტკიცებლად გერმანიის მაგალითიც საკმარისია: ინგლისმა იგი უკვე ნახევრად ჩაითრია თავის პოლიტიკაში,—გერმანიის პოლიტიკა დღეს სპეკულიაციის პოლიტიკაა; ვინც მეტს მისცემს—მისკენ წავა. აქ, რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ ისიც, რომ გერმანია-ინგლისის დაახლოვება იწვევს საფრანგეთის ენერგიულ წინააღმდეგობას და ამით მის პოლიტიკას ანტი-ინგლისურ მიმართულებას აძლევს

მოკლეთ რომ მოგხაზოთ, ამ ქვეყნების განწყობილება ჩვენს წინააღმდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროპის ბურჟუაზიას ინგლისის კონსერვატორების მეთაურობით, ომი სურს—მაგრამ, ვერ ახერხებს მას თავით ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ინტერესების შინა წინააღმდეგობათა გამო; მეორეს მხრივ მიტომ, რომ ამ ქვეყნის მუშათა კლასი წინააღმდეგია ომისა და თავით „თავიანთი“ მთავრობისაც და, ეს მთავრობები დღითი-დღე იძულებულნი ხდებიან სულ მეტი და მეტი ანგარიში გაუწიონ მუშათა კლასის რევოლუციონურ განწყობილებას.

ჩვენ კი ომი არ გვინდა და მისი წინააღმდეგნი ვართ, მხოლოდ თუ ომი მაინც თავზე მოგვახვიეს, ჩვენ მას არ შეუშინდებით და მზათ ვართ ღირსეულად დავხვდეთ!

## ჩინეთის რევოლუცია.

მეორე ფაქტორი, რომელსაც უალრესი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ ცხოვრებაში,—ეს გახლავთ ჩინეთის რევოლიუცია და კაპიტალისტური ქვეყნების მისდამი დამოკიდებულება. კაპიტალისტურ ქვეყნებს, მეტადრე ინგლისს, აქვს ჩინეთში უდიდესი ეკონომიური ინტერესები და ჩინეთის რევოლიუციის გამარჯვება არის არა მარტო ჩინეთის მუშებისა და გლეხების განთავისუფლება, მათი დამოუკიდებლობა, არამედ ფაქტიურად ეს იქნება თვით ინგლისის კაპიტალისტური წესწყობილების ნგრევის დასაწყისი. ამიტომ კაპიტალისტურ მთავრობათა თვალსაზრისით, ინგლისის პოლიტიკა ჩინეთის წინააღმდეგ სრულიად „ბუნებრივია“, ინგლისის, იაპონიის, ამერიკის ბურჟუაზია ებრძვიან მას ყოველგვარი ზომებით: ფულით, ტექნიკით, პროვოკაციით, ეკონომიური ბლოკადით და სხვ. უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით ინგლისის პოლიტიკამ ჩინეთში უთუოდ გაიმარჯვა და რევოლიუცია დროებით, ნაწილობრივად დამარცხდა. ინგლისმა მოახერხა ჩინეთის ლიბერალურ და წვრილ ბურჟუაზიის თავის მხარეზე გადაბირება, (როგორც ხედავთ აქ, ბურჟუაზიამ ნაციონალურ ინტერესებსაც უღალატა), ცხადია, ეს ნიშნავს რევოლიუციის ნაწილობრივ დამარცხებას და ამის სრული უარყოფა—თავის მოტყუება იქნე-

ბოდა; მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩინეთის რევოლიუცია საბოლოოდ დამარცხდა. თვით ის ფაქტი, რომ გლეხმა იკემა მიწის დასაკუთრება და თავისათვის დამუშავება — საწინდარია იმისა, რომ რევოლიუციას ჩინეთში საბოლოოდ ვერ ჩააღრჩობენ.

მე მახსოვს აზერბეიჯანში, იქ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ორი თვის შემდეგ, ჩვენ ვერ ვაიძულებდით გლეხობას შესულიყო ბეგის მამულში და თავისათვის დაემუშავებია იგი და თუ გაბედავდა და დაამუშავებდა, ჩუმათ ბეგებისათვის ლალა მაინც მიჰქონდა. ასეთი იყო ტრადიცია. აზერბეიჯანის დაჩაგრულ გლეხს ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ბეგისათვის მიწის წართმევა.

კიდევ უფრო სასტიკი მდგომარეობა იყო და არის ჩინეთში. დღეს ჩინელი გლეხები ართმევენ მიწებს მემამულეებს და თავისთვის ამუშავებენ და მათი კვლავ დამონება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით შეუძლებელი არის; შეიძლება რეაქციამ გასტანოს უფრო დიდხანს, ვიდრე ჩვენ გვგონია, მაგრამ ჩინეთის ხალხის დაწყნარება უკვე შეუძლებელია. კაპიტალისტურ ქვეყნებმა შეკრიბეს ჩინეთში დიდი სამხედრო ძალა, განსაკუთრებით ფლოტი. დღეს ჩინეთში არის 200-მდე სამხედრო ერთეული. მათ შორის სამოცზე მეტი დრედნოუტი. აშკარაა, რომ თვით ჩინეთისათვის მათ არ სჭირიათ შემდგარი ასეთი მძლავრი ძალა, ჩინეთის ზღვისპირა მდე-

ბარე ქალაქებს ისინი ადვილად გაუმკლავდებოდნენ რამოდენიმე კრეისერთაც. ნანკინი მიანგრიან ერთმა კრეისერმა სულ ათიოდე წუთის განმავლობაში. ეს უამრავი ძალა მოკრიბეს მათ ჩინეთის ნაპირებზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ეშინიათ და არ ენდობიან ერთმანეთს. ინგლისს ეშინია ამერიკის, ამერიკას იაპონიის, იაპონიას კი ორივესი.

### კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულება

შევვხვით ორიოდე სიტყვით საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობის მესამე ფაქტორს—კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულებას. არის თუ არა შეთანხმება მათ შორის და რამდენად მართალია, რომ ერთა ლიგა გამომხატველია კაცობრიობის მშვიდობიანობის? პირიქით, ერთა ლიგა არის უკიდურესი გამოხატულება კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთ წინააღმდეგობისა, ეს არის მეტად ელასტიური იარაღი, მძლავრ სახელმწიფოთა ხელში. უფრო სუსტების წინააღმდეგ, სოლიდარობის მაგივრად კი, ჩვენ ვხედავთ სულ სხვა სურათს: ინგლისი არის წინააღმდეგი ამერიკის, საფრანგეთი ებრძვის გერმანიას, იტალია საფრანგეთს, იაპონია ამერიკას და ასე განუწყვეტლივ. გაიხსენეთ დაუსრულებელი კონფერენციები განიარაღების შესახებ).

დღევანდელი იტალიის აქტიური იმპერიალიზმი მოგვაგონებს გერმანიის იმპერიალიზმის სულასა და ვითარებას ომის წინა წლებში. დღეს, იტალიას ისევე, როგორც გერმანიას 1913 წ., არ ყოფნის ბაზარი თავის გაძლიერებულ წარმოებისათვის. იტალია პირდაპირ სვამს საკითხს, რომ მასაც ერგება რამდენიმე ათი ათასი კვადრატული კილომეტრი კოლონიები. ეს პოლიტიკა მიმართულია საფრანგეთის წინააღმდეგ. თავის თავად ცხადია, ინგლისი თავის ნებით არავის დაუთმობს არც ერთ მეტრს კოლონიაში, მაგრამ იმავე დროს ის აქეზებს იტალიას საფრანგეთის წინააღმდეგ, რადგანაც ის არსებითად სიამოვნებით დააკმაყოფილებს იტალიას სხვის ხარჯზე, მაგრამ არც საფრანგეთი დაუთმობს მათ ასე ადვილად და თვით ის ფაქტი, რომ იტალიის ფაშისტები და გვარდია დასეირნობენ მის ტერიტორიაზე, თუნდაც მხოლოდ რამოდენიმე საათის განმავლობაში, საკმაოდ ნათელყოფს იმას, რომ შეთანხმება კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის არ არსებობს და პირიქით ადვილად შესაძლებელია, რომ მათ შორის მოხდეს შეტაკება. თუ ეს შეტაკება დღემდე არ მომხდარა ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჟუაზიულ მთავრობებს ეშინიათ საბჭოთა კავშირის, მისი გამტკიცების და გაძლიერების.

ამგვარად კვანძი ურთიერთ დამოკიდებულების მეტად ჩახლართულია და კაცობრიობა არასოდეს

არ ყოფილა ასეთი გართულების წინაშე, არასოდეს ომის სიახლოვე არ ყოფილა ისე აშკარა, როგორც ეხლა.

ამ პირობებში ჩვენ გვიხდება ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობა. ჩვენი პოლიტიკა მიმართულია ომის წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერება. ამისაკენ მოუწოდებთ ჩვენ საზოგადოების ყველა წრეებს. აქ უპირველეს ყოვლისა ჩვენთან არის მუშათა კლასი და გლეხობა და შემდეგ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი და ჩვენ გვწამს, რომ საჭიროების დროს მართლაც შევქმნით საბჭოთა მოქალაქეების მთლიან ფრონტს კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ეხლა ორიოდ სიტყვა, ამხანაგებო, თვით საქართველოს მდგომარეობის შესახებ: საქართველოს მდგომარეობა ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების მოქმედების მხრივ განირჩევა ჩვენი კავშირის სხვა რესპუბლიკათა მდგომარეობისაგან. „სოციალისტური“ ანტისაბჭოთა ძალები, როგორიც იყვენ რუსეთსა და უკრაინაში—მენშევიკები, ესერები და სხვ. სრულებით მოისპო, როგორც მასიური პარტიები. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დიდ საბჭოთა კავშირში არც ერთი მენშევიკი და ესერი არ მოიპოვებოდეს. მე ვამბობ მხოლოდ იმას, რომ ამ პარტიებს არავითარი სერიოზული გავლენა აღარა აქვთ და თუ კი ამ პარტიის წევრები სადმე

არსებობენ, არსებობენ როგორც სრულიად უმნიშვნელო და ინტელიგენტური წრეები.

ერთად-ერთ თვალსაჩინო ანტისაბჭოთა ძალას რუსეთში წარმოადგენს მონარქისტები, რომელნიც საზრდოობენ საზღვარგარეთიდან შემოპარულ ემიგრების მიერ წამოღებულ ფულებით, რომელსაც ესა თუ ის ფაშისტური შტაბი გადმოუგდებს მათ, როგორც მოწყალეებს. ამიტომ ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ, რომ თუ ბურჟუაზიის იმედები გამართლდა და საბჭოთა კავშირი მართლაც დამარცხდა, ამას მოყვება არა დანის, აბრამოვიჩის, ირაკლი წერეთელის, ან ნოე ჟორდანიას მთავრობათა გამარჯვება, არამედ უსაშინელესი მონარქისტული რეაქცია, რომელიც არავითარ სიკეთეს არ უქადის საქართველოს, არც პოლიტიკურად, არც ნაციონალურად, არც ეკონომიურად.

დღეს საქართველოში არსებობს ყოფ. მენშევიკური პარტიის ნამტვრევები. მათ ბლოკი აქვთ საქართველოს იმ ელემენტებთან, რომელთა „მოღვაწეობა“ თავის დროზე სასტიკ წინააღმდეგობას იწვევდა თვით მენშევიკების მხრივ. მენშევიკები დღესაც არ სტოუებენ ახრს საბჭოთა ხელისუფლების ჩამოგდების შესახებ.

მე არ შევჩერდები იმ წერილებზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენს პრესაში. მივაქცევ თქვენს ყურადღებას მხოლოდ ერთ გარემოებას: არა ერთ-

ხელ გამიგონია, რომ ეს წერილები კარგია, ვინაი-  
დან ჟორდანია პირდაპირ სწერს—არ გაგიწყრეთ  
ღმერთი, არ გაიმეოროთ 24 წლის ამბები, აჯანყე-  
ბა არ მოაწყოთ, პირიქით—ერიდეთ ფაშისტებს,  
გაუფრთხილდით, რომ ბოლშევიკებმა არ მოგიწყონ  
პროვოკაცია და სისხლში არ ჩააღრჩონ ქართველი  
ხალხი, რომელიც ასე სძულს მათო,—მაგრამ საჭირო  
დროს ელოდე ჩემს განკარგულებას ჩემის ხელის  
მოწერითო.

სამწუხაროდ ზოგიერთებს ამ წერილებიდან ის  
დასკვნა გამოყავთ, რომ ჟორდანია წინააღმდეგია  
აჯანყების. მე კი ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ამნაი-  
რად აზროვნება და ამნაირად წერილების დაფასება  
მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც სინამდვილეს განზრ-  
ახულად მაღავეს, ანდა სირაქლემას პოლიტიკას აწარ-  
მოებს. ამ უკანასკნელებს შეიძლება მართლაც უნ-  
დოდეს, რომ საქართველოში მშვიდობიანობა იყოს,  
და ამიტომ არ უნდათ დაიჯერონ, რომ ჟორდანია-  
რამიშვილი მოწადინებული არიან გართულება შე-  
მოიტანონ ჩვენს მშვიდობიან მუშაობაში.

მოგახსენებთ, თუ რა არის სინამდვილეში ეს წე-  
რილები და რა არის ამ წერილებში ყველაზე უფრო  
საყურადღებო:

საყურადღებოა ის, რომ მენშევიკებმა ნაციონალ-  
დემოკრატების ერთ ფრთასთან ერთად დასვეს  
აჯანყების საკითხი და დადებითად გადასწყვიტეს

იგი. ამ წერილებზე მე აღარ შევჩერდები დიდხანს, რადგან ყველა თქვენგანი მას გაეცნო პრესის საშუალებით. მივაქცევ კი თქვენს ყურადღებას, რომ ამ წერილებში ლაპარაკია არა აჯანყების მიღება-უარყოფაზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აჯანყების ტაქტიკაზე: თუ როდის და რა პირობებში უნდა მოხდეს იგი.

ჩვენ რასაკვირველია, გვანტერესებს საკითხის არსებითი მხარე — ის, რომ მენშევიკებმა გადასწყვიტეს აჯანყების მოწყობა, რაც შეეხება მათი ტაქტიკის განმარტებას, მე ვაცხადებ, რომ ჩვენი მუშაობა უნდა მიმართული იყოს იმ მხრივ, რომ აჯანყება არ მოხდეს და აგვისტოს ამბები არ განმეორდეს. მე პირადათ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ მენშევიკები აგვისტოს ვერ გაიმეორებენ. ჩვენ ისინი დღეს აჯანყებას ველარ მოგვიწყობენ; მათ, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ გაჰყვებიან მუშები, ისევე, როგორც არ გაჰყვენ 1924 წ., არ გაჰყვება მათ არც გლეხობის თუნდაც პატარა ნაწილი, ვინაიდან გლეხობას ჩვენი წყობილების პირობებში არ აქვს არავითარი მიზეზი უკმაყოფილებისათვის და, მეტადრე ისეთი უკმაყოფილებისათვის, რომ აჯანყებას გაყვენ. მე აგრეთვე გამოვსთქვამ იმედს, რომ მენშევიკებს არ გაჰყვება აჯანყებაში ინტელიგენციის ის ნაწილიც კი, რომელიც მათ ერთ დროს თანაუგრძნობდა. დღეს არავისთვი-

საა დასამალი რომ 1924 წ. ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი თუ იარაღით ხელში არ იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში თანაუგრძნობდა მენშევიკებს და ეს თანაგრძნობა ქმნიდა იმ ატმოსფერას, რომელმაც გაუადვილა მენშევიკებს მოიწყობთ ეს ავანტიურა. მე ვიცნობდი ისეთ არა მენშევიკ ინტელიგენტებს, რომელნიც თურმე მაშინ მზათ ყოფილან პატარა ბრაუნინგებით გამოსულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ; მე ვიცი, რომ დღეს იგივე ინტელიგენტები, თუ ყველა არა, მათ შორის უდიდესი ნაწილი მაინც, გულწრფელად სწუხან ამაზე და ნანობენ იმ სხვერპლს, რომელიც ასე უმიზნოთ შეიწირა მენშევიკების გაიძვერობამ.

მე ვფიქრობ, რომ არ შეეცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს ატმოსფერა დღეს საგსებით შეცვლილია და მენშევიკები ქართველ ინტელიგენციაში თავის დასაყრდნობ ძალას ვერ ჰპოებენ.

ის პასუხი, რომელიც უორდანი-რამიშვილმა მიიღეს ქართველი ინტელიგენციისაგან (ქართველი პროფესურის, მწერალთა კავშირის, ექიმების, ყოფილ ქართველ ემიგრანტებისაგან, კერძოდ პოლიტიკურ მოღვაწეთაგან, პროვინციის ინტელიგენც. კრებებიდან და სხვ.). მაჩვენებელია იმისა, რომ ქართველი ინტელიგენციის დღევანდელი სულისკვეთება საბჭოთა მხარეზეა.

მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა და ჩვენ ცუდი პოლიტიკოსები ვიქნებოდით, თუ ასეთ

პირობებშიაც არ მივიღებდით ყველა იმ ზომებს, რომლებიც საჭიროა სახელმწიფოს თავდაცვისათვის. ერთი გაკვეთილი ჩვენ უკვე მივიღეთ სწორედ წარსულ აჯანყების დროს; ჩვენ არ გვჯეროდა მაშინ, რომ მენშევიკები გამოვიდოდნენ ასეთი საშინელი ავანტიურის მოწყობით. ამ გარემოებას მე ვთვლი ჩვენს დანაშაულად ქართველი მშრომელი მასების წინაშე—რადგან ამ რწმენით დაიმედებულნი, არ ვიღებდით ანტისაბჭოთა პარტიების წინააღმდეგ წინასწარ ზომებს.

დღეს ასეთი ამბავი, რასაკვირველია აღარ მოხდება; სათანადო ზომები მიღებულია და ყოველ წუთში მზათ ვართ სასტიკი პასუხი გავცეთ ყველას, ვინც ასეთი პროვოკაციის გამეორებას მოისურვებს; ჩვენ ვალდებულნი ვართ ზომები მივიღოთ არა აჯანყების ჩასაქრობად, არამედ იმისათვის, რომ აჯანყება არ მოხდეს. საქართველოში უნდა შეიქნეს ისეთი პირობები, რომ ვერც ერთი არამზადა ასეთ ავანტიურაზე ფიქრს ვეღარ ჰბედავდეს. ამაზედ ზრუნვა უნდა შეადგენდეს არა მარტო ჩვენი პარტიის ინტერესს და მოვალეობას, არამედ ეს არის მოვალეობა მშრომელი მასის, და ყოველი პატრიოტისანი მოქალაქის, თუ გნებავთ მარტო პატრიოტული მოსაზრებითაც.

მენშევიკების ტაქტიკა თვით საქართველოში აშენებულია—ერთის მხრივ ყოველგვარ პოლიტიკურ

პროვოკაციულ ხმების გავრცელებაზე, ასე, მაგალითად: სოფლად ისინი ავრცელებენ ხმებს, რომ უკვე ევროპიდან გამოყარეს ყველა ჩვენი წარმომადგენლები და რომ ბოლშევიკები უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას ბურჟუაზიასთან შერიგებისა და ხელისუფლების დათმობის შესახებ. შემდეგ, რომ წელს რუსეთში არავითარი მოსავალი არ არის და აუცილებელია შიმშილობა. ავრცელებენ აგრეთვე ხმებს გლეხობაში, განსაკუთრებით გურიაში, რომ მთელი ევროპა მზად არის დაეხმაროს ყოფილ მთავრობას მენშევიკურ წყობილების აღდგენაში, ოღონდ კი საქართველო მზათ იყოს ჟორდანიას-რამიშვილის შესახებდრად; მაგრამ არ იფიქროთ, რომ ეს მარტო სოფლის ამბები იყოს. ნოე ჟორდანიაც კი აპყვა ამ სოფლის პროპაგანდისტებს. მე აქ მინდა მოვიყვანო მოწმეთ თვით კაკი წერეთელი, რომელიც ეკამათება ნოე ჟორდანიას სწორედ ამ საკითხის შესახებ. ეს წერილები შეიცავენ დისკუსიას კაკი წერეთლის და საზღვარგარეთელ ბიუროს შორის, მათი პარტიის ტაქტიკის შესახებ:

„...მას. (ჟორდანიას ლ. ლ.) შემდეგი საბუთი მოყავს: „პარიტეტმა, რასაკვირველია, ცუდი საქმე დაგვმართა, რომ ბრძოლა წააგო, მაგრამ ეს წაგებული ბრძოლაც დიდი პლიუსია ჩვენთვის, ვი-

ნაიდან ამ დღიდან საქართველოს საკითხი ევროპის საზოგადოებრივ აზრში სერიოზულად ისმება“. პირველ წერილში ამ საგანზე ის კიდევ უფრო გადაჭრით ლაპარაკობს: „გაკერით უნდა აღვნიშნოთ, რომ აჯანყება გამართლებულია პოლიტიკურად და ისტორიულად და მის დადებით შედეგებს აქ ყოველ დღე ვხედავთ“-ოჲ მე ვფიქრობ, რომ გადამეტებულმა წარმოდგენამ საზღვარგარეთის ყურადღებაზე წარსულში ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ცუდი როლი ითამაშა, ეხლაც აჯანყების დადებითი შედეგების ნამეტანი ოპტიმისტური შეფასება კეთილს არ გვიქადის“...

ეხლა მოვიყვანოთ კიდევ მეორე ადგილი იმავე წერილიდან, საიდანაც სჩანს, რომ ევროპის ბურჟუაზია სრულებით არ არის დაინტერესებული საქართველოს ბედ-იღბალით.

„რაში გამოიხატა ევროპაში აჯანყების დადებითი შედეგები? ოფიციალურ სფეროში მხოლოდ ერთში: როდესაც მოვიდა აჯანყების და მასზე მოყოლებულ საშინელ რეპრესიების ამბავი, ერთა ლიგამ, ჩვენი მეგობარი სოციალისტების მეცადინეობით, თანაგრძნობის რეზოლიუცია მიიღო. ამ რეზოლიუციას, რასაკვირველია, ჩვენთვის დიდი მორალური მნიშვნელობა ქონდა, მაგრამ მისი პოლიტიკური გავლენა არ უნ-

და გადავამეტოთ... მას იმდენად პლატონიური ხასიათი აქვს, რომ მასში საქართველოს დამოუკიდებლობა განზრახ ნახსენებიც კი არ არის. ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკა კი აჯანყების შემდეგ—თუ შეიცვალა, ეს სამწუხაროდ უფრო უარყოფით ფაქტში გამოიხატა, ვიდრე დადებითში. სახეში მყავს ინგლისი“...

თქვენ ხედავთ, რას ამბობს მენშევიკების ერთი ბელადთაგანი, მათი წარმომადგენელი მეორე ინტერნაციონალში, ხოლო ამავე დროს ჟორდანიარამიშვილი კი თავის აგენტებს საქართველოში აშკარად ატყუებენ, რომ ევროპის თანაგრძნობა მათს მხარეზეა და ყველაფერი მზათ არის იმისათვის, რომ ხელსაყრელ მომენტში ეს თანაგრძნობა რეალურ დახმარებათ იქცეს. ყოველივე ექვს გარეშეა, რომ თუ ვინმე სტყუის ამ ორ ლიდერთა შორის, სტყუიან ჟორდანიარამიშვილი და არა კაკი წერეთელი. მაგრამ, მოქალაქენო, ტყუილი უკვე ბუნებათ იქცა ქართველ მენშევიკებისათვის; ჩვენს ხელთ არის მთელი რიგი წერილებისა, რომელსაც აგზავნიან ეს პირები და აგრეთვე ის პასუხებიც, რომელსაც ისინი აქედან იღებენ და უნდა გითხრათ, რომ აქედან გადაგზავნილ მოხსენებაშიაც ასევე უტიფრათ ატყუებენ მათ; მე აღარ ვიცი, ამ ტყუილებში ვინ ვის სჯობნის? მაგალითად, თუ იქიდან რამიშვილი აიმედებს აქაურებს, რომ მას ყველაფე-

რი დამზადებული აქვს, აქაური მისი ამხანაგებიც არ უტეხენ მათ იმედს და, აცნობებენ, რომ მთელი ქართველი ხალხი დარაზმულია და მხოლოდ მის განკარგულებას ელის, რომ თავი დასდოს მენშევიკური ხელისუფლების აღდგენისათვის“.

ახლა არ იკითხავთ რისთვის არის საჭირო ეს ტყუილი?—მხოლოდ იმიტომ, რომ იმედდაკარგულ მენშევიკებს და სხვა ანტი-საბჭოთა პარტიებს სჭირდებათ თუნდაც ასეთი ტყუილებით როგორმე შეინარჩუნონ ისე მცირე-რიცხოვანი მიმდევრები მაინც, რომლებსაც სავსებით ჯერ კიდევ იმედი არ დაკარგვიათ. საერთოდ კი, მენშევიკების საზღვარგარეთელ ბიუროს და „მთავრობის“ მთელი მუშაობა მიმართულია მხოლოდ იმისაკენ, რომ როგორმე იშოვონ ფული და ამისათვის არაფითარ კომბინაციებს არ ერიდებიან. ორიოდე გროშის შოვნისათვის, მათ „ელჩის“ მანდატი მისცეს ცნობილ ავანტიურისტს და ყალბი ფულების სპეციალისტს ვასო დუმბაძეს და ამერიკაში გაგზავნეს. მეტი სიმაგრისათვის თოფჩიბაშევსა და ჩერმოევსაც კი ხელი მოაწერიეს ამ მანდატზე. ასე გახადეს ეს ყუილიკი „კავკასიის ელჩათ“. ზოგიერთ თქვენგანს ეცოდინება ალბათ ამ „ელჩის“ ვინაობა,—იგი ნამდვილი „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ტიპია; ერთ დროს ყალბ ფულებს სჭრიდა, შემდეგ ომის დროს გერმანიის ჯაშუში იყო და რუსეთის სამხედრო სამინისტროს „პოდრიადჩი-

კი“, შემდეგ ყუმბარების მიმღები კომისიის წარმომადგენელი და გენ. სუბომლინოვის დაახლოვებული პირი—ამ თანამდებობით ისარგებლა და ამერიკულ ფირმიდან „ჩაიბარა“ ცუდი ყუმბარები. ეს ამერიკული ფირმა გერმანული აღმოჩნდა და ღუმბაძეს ნიკოლოზის მთავრობამ სახრჩობელა მიუსაჯა, შემთხვევით თავი გადირჩინა, კერენსკის დროს ყალბი პასპორტით ციხიდან გაიპარა, შემდეგ კიდევ მრავალი კომბინაციები გააკეთა და ეხლა ამერიკელ ფირმას „უჩივის“ საკომისიო პროცენტებს ყუმბარების მიღებისათვის.

რამდენად სერიოზულია „ამერიკელი ძის“ საქმიანობა, ამას გვიმტკიცებს კ. წერეთელი, რომელიც იმავე წერილში სწერს: „ვშიშობ, რომ გადამეტებულ იმედებს ევროპაზე გადამეტებული იმედები ამერიკაზე არ დაემატოს“.

საუბედუროდ ღუმბაძის „ანეკდოტი“ საქართველოში ზოგიერთებს მართალი ამბავი ჰგონიათ—ქართველ ხალხს კი ეს საკმაო ძვირად უზის!

აი, ამ ვასო ღუმბაძემ რამოდენიმე ათასი დოლარი მართლაც გამოუგზავნა ნოე რამიშვილს. უნდა ითქვას, რომ რამიშვილი მთელ ემიგრაციაში ყველაზე უფრო „ჭკუიანი“ გამოდგა და თუ კი ფული სადმე იყნოსა, მას ვერაფერს გამოაპარებს, მან კარგად იცის, რომ ვისაც ფული ხელში აქვს, გაჭირვებული ემიგრაციის ფაქტიური „ბელადიც“ სწორედ ის

არის. მას ჰყავს საკუთარი „ფინანსთა მინისტრი“ კოწია კანდელაკი, რომლის საშუალებითაც ის აწარმოებს ამ დიდ „ფინანსიურ ოპერაციებს“. ამრიგად ემიგრაცია და მასთან ერთად ნოე ჟორდანია მიყვებიან ნოე რამიშვილის კომბინაციებს. გაიგოს ყველამ, რომ დღეს აქტიურ პოლიტიკას ქმნის ნოე რამიშვილი, რომელსაც საკითხებში და პრაქტიკულ საქმიანობაში მხარს უჭერს და ეთანხმება ნოე ჟორდანია. მე ვფიქრობ, რომ ასევე იყო საქართველოშიაც „დემოკრატიული“ მთავრობის დროს და აქაც ნოე ჟორდანია დამოუკიდებელი ლიდერი კი არ ყოფილა, არამედ ნოე რამიშვილის განზრახვების ამყოლი.

აქ მინდა თქვენი ყურადღება მივაქციო ერთ რამეს: ნოე რამიშვილი თავის ტაქტიკურ წერილებში, თავის დირექტივებში, რომელსაც ის აძლევს ქარცივაძეს, სწერს:

„თუ ბოლშევიზმის დაცემა შინაგან კრიზისმა გამოიწვია, დაუყონებლივ უნდა დაეპატრონოთ სახელმწიფო ძალაუფლებას, ბოლშევიკები შევიპყროთ და აღვადგინოთ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა...“

უნდა მივიღოთ ყოველნაირი ზომა, განსაკუთრებით თბილისში, რომ გადატეხისა და ბოლშევიზმის დაცემის დროს ძალაუფლებას დაეპატრონოს დემოკრატია და საერთო ფრონტის მომხრენი“...

რამიშვილი სწერს იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ ბოლშევიკების ჩამოგდების შემდეგ.

მას რომ დიდი სურვილი აქვს ჩვენი ჩამოგდებისა, ეს ჩვენ ვიცით, მაგრამ ეს თავისი სურვილები თავის ოცნებაში მან უკვე ფაქტათ აქცია და მხოლოდ იმაზე ლაპარაკობს, თუ რა უნდა გააკეთონ აქ ჩვენი ჩამოგდების შემდეგ. მის წერილში პირდაპირ სასაცილო ადგილიც არის:

„როცა ბოლშევიკები დარწმუნდებიან, რომ მათი დაღუპვა აუცილებელი შეიქმნა, შეიძლება მოლაპარაკება დაგვიწყონ. თქვენი პასუხი უნდა იყოს შემდეგი: გაიყვანეთ თქვენი ლაშქარი და მიმართეთ ეროვნულ მთავრობას პარიზში“.

ეს მეტად დამახასიათებელია. ისინი ხომ პოლიტიკური მოღვაწენი არიან, მოითხოვენ, რომ საქართველო მათ გაჰყვეს და აი ვისაც სურს მათი გაყოლა, დაუფიქრდეს, თუ რა გონებით დაავადებული ხალხი მოუწოდებს მათ.

აი, კიდევ მეორე ადგილი, სადაც რამიშვილი სწერს:

„ბოლშევიკური რეჟიმის დამხობისთანავე უნდა შეადგინოთ დროებითი მმართველობა ჩვენი პარტიისა, სოციალ-ფედერალისტთა და ეროვნულ-დემოკრატიების წარმომადგენელთაგან“...

„დროებითმა მმართველობამ, რომლის თავმჯდომარე აუცილებლად ჩვენი პარტიის წარმომადგენელი

უნდა იყოს, უნდა განაცხადოს თავიდანვე, რომ ერის წარმომადგენელია—უცხოეთში გახიზნული, ნოე ჟორდანიას მთავრობა და რომ დროებითი მმართველობა მაშინვე გადადგება, როცა საქართველოს ტერიტორიაზე გამოჩნდება ეს მთავრობა ან მისი რომელიმე წევრი“.

აქ მე მინდა გვიამბოთ ორი ფაქტი, რომელსაც ადგილი ქონდა პარიზში. პირველი იყო 1924 წ. აჯანყების შემდეგ:—ჟორდანია ინახულა თქვენთვის ცნობილმა ნიკოლოზ დიმიტრის ძე სოკოლოვმა, ყოფილმა ბოლშევიკმა. მე არ ვიცი ნიკო ელიავამ იცის, თუ არა ამის შესახებ რაიმე, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვეცადეთ პარიზში გაგვეგებინებია ემიგრაციისათვის სოკოლოვის მოლაპარაკების შესახებ ნოე ჟორდანიასთან. მე არ ვიცი, რა ლაპარაკი ქონდა სოკოლოვს ჟორდანიასთან, მაგრამ ვიცი, რომ ამ მოლაპარაკების შემდეგ, სოკოლოვი მოვიდა პარიზის საბჭოთა საელჩოში ამხ. შლიაპნიკოვთან, რომელიც იმ დროს ამხ. კრასინის მოადგილე იყო და განაცხადა, რომ ჟორდანიამ მას შემდეგი უთხრა: „ჩვენ მოვილაპარაკეთ თქვენ წინადადებაზე საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგების შესახებ და აი, გადმოგცემთ ჩვენს აზრს:

1) ჩვენ თანახმა ვართ ვიცნოთ საბჭოთა სისტემა, როგორც პრინციპიალურად, ისე პრაქტიკულად.

2) საჭიროდ ვცნობთ და მზათ ვართ ეხლავე ხელ-შეკრულება დავსდოთ რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან იმის შესახებ, რომ ჩვენ მზათ ვართ დავაყენოთ რუსეთის წითელი ჯარი იმ რაოდენობით და იმ პუნქტებში, რამდენსაც და სადაც მოითხოვს საბჭოთა მთავრობა.

3) მოვითხოვთ, რომ არჩევნები საბჭოებში მოხდეს დემოკრატიული წესით.

4) მოვითხოვთ, რომ საბჭოთა საქართველო იყოს ცნობილი, როგორც დამოუკიდებელი ს. ხელმწიფო.

5) მოვითხოვთ, რომ შეთანხმებისთანავე მთავრობის თავმჯდომარის ადგილი დაეთმოს მენშევიკურ პარტიის წარმომადგენელს.

ამ პირობების გადმოცემის შემდეგ, თუ ბოლშევიკებს მართლა სურთ ჩვენთან შერიგება, დანარჩენი მოლაპარაკება შეგვიძლია ვაწარმოვოთ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენელთან“-ო.

ეს ამბავი ამხ. შლიაპნიკოვმა დეპეშით გვაცნობა პარიზიდან: რა თქმა უნდა ჟორდანიას „ნოტამ“ გულიანათ გაგვაცინა და ჩვენ სათანადო პასუხი გავეცით: ნოე ჟორდანიას, ისევე, როგორც ყოველ მოქალაქეს, შეუძლიან მოვიდეს ჩვენს საელჩოში და აღძრას ესა თუ ის შუამდგომლობა და, თუ დაბრუნება სურს - მიიღოს ამის ნებართვა. მოლაპარაკება კი მასთან, როგორც პარტიის, ან მით უმეტეს

„მთავრობის თავმჯდომარესთან“, ჩვენთვის ყოველად მიუღებელია! საზოგადოთ, როგორც პარტიის წარმომადგენელს ჩვენ არავის არ დაუწყებთ ლაპარაკს, საქართველოში არის ერთი ხელისუფლება, — საბჭოთა ხელისუფლება, და ჩვენ არავისთან არაფერი არ გვაქვს გასაყოფი.

მეორე მაგალითი ასეთივე სერიოზული ხასიათისაა: 24 წლის აჯანყების დროს, საქართველოში გამოიცა პროკლამაცია „აჯანყებულთა დროებითი მთავრობის“ სახელით; ეს პროკლამაცია, რასაკვირველია, დაუყონებლივ ტელეგრაფის საშუალებით გაიგეს პარიზში. იქ მყოფი ნაციონალ-დემოკრატები ამ გარემოებამ განსაკუთრებით გაახარა: როგორც იქნა მოვიშორეთ ჟორდანი და რამიშვილიო — ფიქრობდნენ ალბათ ისინი და ეს ცნობა მაშინვე აფრინეს გაზეთებში. ლელი ჯაფარიძე აქ არის და მან ეს ამბავი ალბად კარგად უნდა იცოდეს, ნოე ჟორდანიამ საშინლად გაჯავრებულმა მაშინვე მოიწვია სპეციალისტ იურისტების თათბირი, პროფ. ზურაბ ავალიშვილის და გ. გვაზავას სახით და შეეკითხა მათ, თუ რა მდგომარეობაში აყენებს ამ „დროებითი მთავრობის“ შექმნა „დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ საქართველოს ერთადერთ კანონიერ, ჟორდანიას მთავრობას“. იურისტებმა დიდი თათბირის შემდეგ გამოიტანეს დასკვნა, რომ ორი მთავრობის არსებობა ერთ და იმავე მიზნები-

სათვის შეუძლებელია და ურჩიეს, რომ „თუ თქვენ სცნობთ კანონიერათ აჯანყებას, ვალდებულნი ხართ დაუყოვნებლივ გადადგეთ და აღიაროთ „დროებითი მთავრობის“ სრული კანონიერება, ხოლო თქვენ კი მისი წარმომადგენლობა დროებით იკისრეთ ევროპაში“. ეს დასკვნა ჟორდანისას, რასაკვირველია, არ მოსწონებია და მაინც განუცხადებია, რომ „ერთად ერთი კანონიერი მთავრობა მხოლოდ მისი მთავრობაა და მას ვერავინ ვერ გადააყენებს“. ეს ამბავი მიაშხო მე პარიზში თვით ამ თათბირზე მონაწილე პირმა. უნდა სიმართლე ითქვას, რომ ჟორდანისამ აჯობა აქაურ „დროებით მთავრობას“, რომელმაც მხოლოდ 6 საათი გასძლო ჭიათურაში; ჟორდანია კი უკვე მეათე წელია, რაც „მთავრობობს“ და მასზედ უფრო ხანგრძლივი „მთავრობა“ დღეს არც ერთს ევროპის სახელმწიფოს არ ყავს!..

ამ ორ ფაქტში დამახასიათებელია მხოლოდ ის, რომ ჟორდანია და რამიშვილი წავლენ ყოველგვარ კომპრომისზე, **ოღონდ ნუ წაართმევთ მათ მინისტრობას**; აკი სწერს ეხლა რამიშვილი საქართველოში, რომ თუ ვინიცობაა ბოლშევიკები ჩამოაგდონ, არამც და არამც 24 წლის ამბავი არ გაიმეორონ და მთავრობა არ შეადგინონ, არამედ მოაწყონ დროებითი მმართველობა, რომელმაც აუცილებლად მაშინვე უნდა გამოაცხადოს, რომ „კანონიერია“ მხოლოდ პარიზში მყოფი ჟორდანისა მთავრობა, რო-

მელსაც ჩააბარებენ სავარძელს როგორც კი ის საქართველოში ჩამობრძანდება! რას ნიშნავს ეს? სისულელეს თუ სასაცილო კომედიას, თქვენ თვითონ განსაჯეთ!

რით აიხსნება, თუ არ ადამიანის გაბოროტებული სიჩერჩეტი, რომ ნოე რამიშვილი უკვე მეშვიდე წელია საზღვარ-გარეთ ყოველ პარტაულ და უპარტიო კრებებზე ამტკიცებს, რომ ბოლშევიკების განადგურება სულ დიდი 3—4 თვის საქმეაო. ნუ თუ ამის მტკიცება ან მას არ მოსწყინდა, ან მის მსმენელებს? რით აიხსნება, თუ არა ადამიანის სულიერი გახრწნით ის ფაქტი, რომ ამდენი ხანია ეს ხალხი, ყოველ კრებაზედ თავიანთ თავს „აზნაურ კიკნაველიძეების“ არ იყოს, „მინისტრებს“ უწოდებენ და თავიანთ „თანამდებობებს“ გააფთრებით ჩასჭიდებიან.

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ნოე რამიშვალს და ჟორდანიას საქართველოში მინისტრობა ვერასოდეს ველარელირებათ; თუნდაც აღსრულდეს ჩვენი მოსისხლე მტრების სურვილებიც და საბჭოთა ხელისუფლება კიდევ დაემხოს, მას ყოველ შემთხვევაში მოყვება უსაშინელესი რეაქცია არა მარტო რუსეთში, არამედ საქართველოშიაც; ნიშნავს, თუ არა რუსეთში რეაქციის დაბრუნება, საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და ნაციონალურ დამონებას და ფიზი-

კურ განადგურებას? მე მგონია ამის მტკიცება თქვენს წინაშე სრულიად ზედმეტია.

პარიზში მყოფი ვაჟბატონი „მინისტრები“ კი, იმდენად გატაცებულნი არიან ბურჟუაზიული ქვეყნების დახმარების იდეით, რომ მართლაც სჯერათ, რომ თუ იმათ გააუქმეს ჟორდანიას მთავრობა, ამით ქართველ ხალხს რაღაც უბედურება მოელის, მაგრამ კაკი წერეთელი მაინც თავისას არ იშლის და მოითხოვს, რომ „მთავრობა“ გაუქმდეს. ამ შემთხვევაში წერეთელი უფრო სინდისიერი გამოდგა, ვინემ დანარჩენი მისი ამხანაგები.

აქ სთქვეს ამნისტიისა და რეპრესიების შესახებ.

საზოგადოთ უნდა გითხრათ, რომ ბოლშევიკების ხელისუფლებას პოლიტიკური ამნისტია არ სჩვევია; არა იმიტომ, რომ ჩვენ კაცი-ჭამია ხალხი ვართ და არ შეგვიძლია დამშვიდებული დავიძინოთ, თუ ჩეკის კამერები სავსე არ არის, არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამნისტიით საქმე არ წყდება. აქ მოფერებით საკითხის მოგვარება შეუძლებელია.

მე უნდა მოგახსენოთ, თუ რატომ და რისთვის ვაწარმოებთ ჩვენ ასეთ პოლიტიკას. აშკარაა და ამას არ ვმაღავთ, რომ საქართველოში ანტი-საბჭოთა პარტიებს ჩვენ არ ვეფერებით!

ანტი-საბჭოთა ელემენტები და განსაკუთრებით მენშევიკები არ სტოვებენ თავიანთ მუშაობას. ისინი აბამენ ზოგიერთ სოფლებს საშინელი პროვოკა-

ციის ქსელში, ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს ჩვენს შესახებ. ეს ხალხი იმდენად გაბოროტებულია ჩვენს წინააღმდეგ, რომ ამ გაბოროტებაში თვით ჩვენს უდიდეს მიღწევებს სახალხო მეურნეობისა და კულტურის მშენებლობის საქმეშიც კი, უარსაყოფ მოვლენებათ ნათლავენ.

და ბოლოს, რაც მთავარია დღევანდელ მომენტში, ანტი-საბჭოთა ელემენტები და განსაკუთრებით მენშევიკები, ეწევიან სამხედრო შპიონაჟს ბურჟუაზულ ქვეყნების შტაბების სასარგებლოთ! ამ დღეებში დასრულებულმა ქართველ მენშევიკების პროცესმა ხარკოვში უკანასკნელი ფარდა ახადა ამ ხალხს გამყიდველ-მოლაღატურ მუშაობას და, ნუ თუ თქვენ შესაძლებლად სცნობთ ასეთ პირობებში ჩვენ ზომები არ მივიღოთ, რომ ბოლო არ მოუღოთ ამ ხალხის „მოღვაწეობას“?

ამნისტია შეიძლება ისეთი მოწინააღმდეგის მიმართ, რომელიც პირობას მოგვცემს, რომ ყოველ შემთხვევაში ამნისტიის შემდეგ მაინც იგი არ აწარმოებს აღმაშფოთებელ და პროვოკაციულ მუშაობას ჩვენ წინააღმდეგ! აქვე მე მოგახსენებთ ერთი გარემოების შესახებ: მენშევიკების საზღვარ-გარეთელი ბიურო ნებას აძლევს ყოველ დაპატიმრებულ პარტიის წევრს, დასწეროს ყოველგვარი „მონაწიებითი“ ხასიათის წერილი, ოღონდ საპატიმროდან გამოძვრეს და თავისი პროვოკაციული მუ-

შაობა განაგრძოს—ასეთი საღირეჭტივო დოკუმენტები ჩვენს ხელთ არის და ნურას უკაცრავათ, თუ ამ სატუსალოში „მონანიებულ“ ხალხს ჩვენ აღარ ვენდოთ!

სულ სხვა საქმეა, თუ ლაპარაკი იქნება ისეთი პირის ამნისტიის, რომელიც არალეგალურად მუშაობს დღეს, ან იმალება და ასეთს პირობებში რწმუნდება თავის მუშაობის მავნებლობაში,—თუ ასეთი პირების შესახებ შუამდგომლობა აღძრულ იქნება, მე შემიძლია ვსთქვა, რომ ასეთ პირს, უკეთეს მან პირობა მოგვცა რომ ჩვენს წინააღმდეგ აღარ იმუშავენს, — ჩვენ ხელს აღარ ვახლებთ.

მე ვფიქრობ, მოქალაქენო, რომ სხვა პოლიტიკის წარმოება ჩვენს პირობებში შეუძლებელია; აი რატომ გელაპარაკეთ მე იმ საერთაშორისო მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ეს მდგომარეობა ფრიალდ რთულია! ტრაბახი იქნება ვსთქვა, რომ ჩვენ არავითარი საშიშროება არ მოგველის. რა თქმა უნდა ის ძალა, რომელიც აღმართულია ჩვენს წინააღმდეგ, სერიოზული ძალაა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვება საბოლოოდ ჩვენ დაგვრჩება, ვინაიდან ჩვენ ვართ წარმომადგენელნი იმ პროგრესიული კლასის, რომელიც წინ მიდის და რომელსაც უეჭველია ეკუთვნის კაცობრიობის ხვალისდელი დღე. გარდა ამისა, ჩვენ ვართ ის ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც იცავს პო-

ლიტიკურად აღზრდილი კლასიური ჯარი და არა მექანიკურ დისციპლინით შეკრული ბრბო. ჩვენ გვყავს ისეთი ძლიერი მოკავშირე, როგორც არის მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული უსათუოდ ჩვენ გამოვალთ! მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საშიში ჩვენ არაფერი გვექონდეს, ან სუსტი მოწინააღმდეგე გვყავდეს, პირიქით, წინ მრავალი სიძნელე მოგველის და ამ რთულ მდგომარეობაში, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს თავს უფლება მივცეთ ლმობიერათ მოვეპყრათ ყველა იმ პირთ, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს, მეტადრე იმათ, ვინც ფიქრობს ჩვენი შეიარაღებული ძალების დაშლას. მე ვაცხადებ კატეგორიულად ასეთების საყურადღებოთ, რომ მათ ჩვენ სასტიკათ მოვეპყრობით!

ყველას საყურადღებოდ, რომ ჩვენი ხელისუფლება არავითარ ლმობიერებას არ გამოიჩენს მათ მიმართ, ვინც სცდილობს დაარღვიოს ჩვენი შეიარაღებული ძალა.

ხოლო ყველას, ვინც პატიოსნათ მოდის ჩვენთან და გულწრფელად სურს მუშაობა საქართველოს ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში, ჩვენ მზათ ვართ ხელი გაუწოდოთ, ჩვენ არ ვართ წინააღმდეგნი გაუადვილოთ მოსვლის პირობები იმათ, ვინც ვერ ბედავს და ყოყმანშია; ჩვენ არ ვართ წინააღმდეგნი გამოვიყვანოთ არალეგალურ

მდგომარეობიდან ყველა ისინი, ვისაც გულწრფელად აღარ სურს იქ ყოფნა და, თუ არ გამოდის, მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიან. მაგრამ ლაპარაკი იმაზე, რომ ღმობიერება გამოვიჩინოთ იმ ხალხის მიმართ, ვინც განადგურებას გვიპირებს — ყოვლად შეუძლებელია!

ასეთი ელემენტებისადმი ჩვენი მოთხოვნილება დიდი არ არის, ერთ რამეს მოვითხოვთ მხოლოდ: ხელს ნუ გვიშლით, გულში რაც გინდათ იყავით, მხოლოდ გულისწადილს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებათ ნუ აქცევთ!

არავინ არ თხოულობს თქვენგან გაბოლშევიკებას. ეს, თუ შეიძლება ითქვას, დღევანდელ პირობებში პროგრამის მაქსიმუმია. ვიმეორებ, ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ, რომ ხელს ნუ გვიშლიან.

## დ ა მ ა ტ ე ბ ა

I. საზღვ.-გარ ბიუროს პრეზიდიუმის წერი-  
ლი საქ. სოც.-დემოკრ. პარტიის ცეკას.

საქართველოს სოც. დემოკ. პარტიის ცენტრა-  
ლურ კომიტეტს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ამასთანავე გიგზავნით ამხ. ირ. წერეთლის წე-  
რილს ჩვენს პასუხთან ერთად. უნდა გითხრათ, რომ  
ბიუროს ასეთი წერილობითი კამათი ცენტრალურ  
კომიტეტთან არ მიაჩნია სასურველად და იმედი  
გვაქვს, ეს უკანასკნელი იქნება. ბიურომ მიიღო თა-  
ვის მუშაობის რეგლამენტი, რომლის შესახებ ცალ-  
კე გწერთ და მიწერ-მოწერაც პარტიასთან ამიერი-  
დან ამ რეგლამენტის თანახმად იწარმოებს.

არსებითად ამხ. ირ. წერეთლის ამ წერილის  
შესახებ უნდა გაცნობოთ შემდეგი:

1. ირაკლი ამბობს, რომ კ. ჩხეიძეს საზღვარგა-  
რეთიდან კავშირი არ ჰქონდა -- საქართველოში მო-  
მუშავე ამხანაგებთან და ვითომც ამასი ბრალი ვინ-  
მეს ედებოდეს. ნამდვილად კი განსვენებულ კ. ჩხეი-  
ძეს ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა პარტიასთან

მიწერ. მოწერა გაემართა და თუ არ გაუმართავს—  
ეს მისი საქმეა.

რაც შეეხება მის პოლიტიკურ შეხედულებას, აქაც მართალი არ არის ამხ. ირ. წერეთელი, როდესაც ამბობს, რომ ვითომც ამხ. ჩხეიძე მას ეთანხმებოდა „ძირითად-საკითხებში“. შეგვიძლია ჩვენ კატეგორიულად ვსთქვათ, რომ მას არასოდეს არავითარი რყევა არ გამოუჩენია საქართველოს ორიენტაციის საკითხში. თვით სიკვდილის წინა კვირაში მის მიერ დაწერილი და ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი 26 მაისის შესახებ ამტკიცებს, მხოლოდ აჯანყების შეფასებაში ამხ. ირ. წერეთლის აზრს იზიარებდა.

2. ის წერილი, რომელიც გამოიგზავნა ცეკაში ნ. ჟორდანიას ხელის მოწერით, იყო პრეზიდენტის მიერ დაწერილი, თანახმად ბიუროს დავალებისა; მაშასადამე იგი გამოსთქვამდა არა მარტო თავის საკუთარ აზრს, არამედ ბიუროს აზრსაც. ამ წერილებიდან დაინახავდით, რომ არავითარ ეროვნულ რომანტიკაზე და არც იარაღის ჟღარაუნზე აქ არ ყოფილა ლაპარაკი. ამას მოწმობს ამხ. ჟორდანიას „ჩვენი ტაქტიკა“ და გაზ. „ბრძოლის“ მთელი მიმართულება.

ამას გარდა, ჩვენ გავიგეთ, რომ ის წერილი, რომელსაც ამხ. ირ. წერეთელი ემყარება, აქ გამოგზავნილი ყოფილა ცენტრალური კომიტეტის დაუ-

კითხავად და, მაშასადამე არ ხატავდა პარტიის შეხედულებას. ეს თქვენ ალბათ უფრო კარგათ მოგეხსენებათ. ჩვენ შემდეგ მივიღეთ თქვენი წინადადება გვეხელმძღვანელა კონფერენციის დადგენილებებით და არა იმ წერილით.

ამხ. ირ. წერეთელის ოპოზიცია მდგომარეობს აგვისტოს აჯანყების საკითხის შეფასებაში. მისი დღევანდელი წერილიდან დაინახავთ, რომ ამ საკითხს ის უდგება პირწმინდათ ისე, როგორც ბოლშევიკები, და იმეორებს იმასვე, რაც არა ერთხელ ყოფილა ბოლშევიკურ პრესაში აღნიშნული. სახელდობრ, აჯანყება იყო სიბრძნე, იმან ჩვენ დაგვაქცია, პოლიტიკურად უკან დაგვწია და სხვა. რასაკვირველია, ამჟამად აჯანყების უარისყოფა დაფუძნებულია ერთ გარემოებაზე, სახელდობრ:—აჯანყების დამარცხებაზე. რომ გაემარჯვა აჯანყებას, მაშინ, რასაკვირველია, ასეთ უარყოფით დამოკიდებულებას ადგილი არ ექნებოდა. მაშასადამე, აქ არის დავა იმის გარშემო, თუ რა მნიშვნელობა აქვს დამარცხებულ მოძრაობას, ეს საკითხი გარკვეულია ვრცლად „რა მოხდა“-ში და შემდეგ „ბრძოლა“-ში, ე. ი. როცა სოციალიზმი განხორციელდება, მაშინ ჩვენც მივიღებთ დამოუკიდებლობას“-ო. ეს ჩვენ მიგვაჩნია საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნათ. ამხ. ირაკლის თეზისი: „მთელი ჩვენი მომავლის დაკავშირება განვითარებასთან“—ნიშნავს საგნის მხოლოდ

ერთი მხარის დანახვას. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ პერსპექტივაში გვექონდეს არა ერთი მხარე, არამედ მოვლენის ყველა მხარეები და ვიყოთ ყოველთვის მზათ ხელი წავავლოთ იმ მხარეს, რომელსაც ისტორია გადმოგვიგდებს. სანამ რუსეთში დემოკრატია აღორძინდებოდეს, მანამდე არა ერთი და ორი ამბავი მოხდება ისეთი, რომელიც ჩვენს საქმეზე გადაძქრელ გავლენას მოახდენს. ჩვენ უნდა ვიყოთ დაქედილი ყველა ფეხზე.

საერთო ფრონტის შესახებ აქ, ევროპაში, უკვე მოგწერეთ თავის დროზე, და თუ ეხლა ამხ. წერეთელი მაინც განაგრძობს ამ საკითხზე დავას, ეს აინხსნება ალბათ იმიტვე, რითაც ყველა მისი დანარჩენი განსხვავებული აზრი-დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მიუუჩეჩებით.

საერთო ფრონტი აგებულია პოლიტიკურად დამოუკიდებლობისათვის ძალთა მობილიზაციის მოსაწყობათ, — ხოლო სოციალურად იმაზე, რომ ჩვენში ფაქტიურად კლასთა ბრძოლა დღეს თითქმის აღარ არსებობს. ყველა წრე და კლასი ერთნეირად უფლება-აყრილია და მთელი ხალხი უუფლებოა. თუ კი ევროპაში, სადაც კლასთა ბრძოლა გაწვავებულია-კოალიცია დასაშვებია და არც ერთი პარტია მას პრინციპიალურად უარს არ ჰყოფს, თუ კი ბევრ რუსეთში თებერვლის შემდეგ კლასთა კოალიცია შესაძლებელი იყო-რალა მაინცდამაინც საქართვე-

ლოში, სადაც ფაქტიურად მთელი ერი შეერთებულია მტარვალთა წინააღმდეგ-ერთი ფრონტი დაუშვებელია.

ფაქტიური მხარე აქაური დისკუსიისა შემდეგია: აქაურმა ორგანიზაციამ გამართა დისკუსია აჯანყების გარშემო, სადაც ირაკლიმ წარადგინა თავისი თეზისები. მთავარი მომხსენებელი იყო თვითონ ამხ. წერეთელი. შვიდი თვის დავის შემდეგ ბიურომ გადასწყვიტა საქმეში ჩარეულიყო და ეს დაუსრულებელი ამბავი დაგვებოლოვებია. ამ მიზნით არჩეულმა შემთანხმებელმა კომისიამ, გამოიმუშავა საერთო რეზოლიუცია, რის შემდეგ ამხ. ირ. წერეთელმა თავისი თეზისები მოხსნა, კენჭი მისთვის აღარ გვიყრიდა.

არა ერთი და ორი მოძრაობა დამარცხებულა, მაგრამ, თუ კი მიზანი მოძრაობისა მისაღები იყო, თვით მოძრაობა არავის დაუგმია და, სწორედ ჩვენსა და ამხ. ირაკლის შორის აქ უნდა იყოს მთავარი განსხვავება. საქართველოს დამოუკიდებლობა მას არ უნდა მიაჩნდეს ისეთ მიზნად, რომლის განსახორციელებლადაც ასეთი მსხვერპლის გაღება შესაძლებელი იყოს.

რაც შეეხება თვით აჯანყების მნიშვნელობას, უნდა მოგახსენოთ, რომ მან ჩვენი საკითხი მივიწყებინა და გამოიყვანა და სხვანაირად არც შეიძლება და ყოფილიყო. თუ კი რიფების აჯანყებამ და და-

მარცხებამ მათი საკითხიც კი საყოველთაო ყურადღების ღირსად გახადა,—საქართველოს აჯანყება ამ სფეროში ნაკლებ როლს არ ითამაშებდა.

ამხ. ირ. წერეთლის აზრი, ვითომც, თუ რამე გაკეთდა ჩვენს სასარგებლოდ-გაკეთდა მარტო სოციალისტური პარტიების მეოხებით, მართალი არ არის. მართალია, სოციალისტები ჩვენ გვეხმარებიან, რეზოლიუციებით, თუ თავის პრესით, მაგრამ ამით ხომ ვერ დაგვკმაყოფილდებით,—და არც დაგვკმაყოფილებულვართ. ყველგან, სადაც კი რაიმე სახელმწიფოებრივი აქტი საერთაშორისო მნიშვნელობით საქართველოს სასარგებლოდ გაკეთდა, ეს იყო ბურჟუაზიული მთავრობების და მათი წარმომადგენლების საშუალებით.

აღსანიშნავია ის, რომ ზოგიერთმა სოციალისტურმა მთავრობამ, როგორც მაგალითად, მაკდონალდმა და ებერთმა, სულ წაგვეშალა, ზოგიერთმა კი არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია, როგორც მაგალითად დანიის მთავრობამ.

ესეც უნდა ითქვას, რომ ინგლისის მუშათა პარტიაში ჩვენ სათანადო მუშაობა არ გვიწარმოებია. ეხლა ეს ნაკლი სწორდება.

საქ—ლოს სოც. დემოკრატიის ტაქტიკის შედარება დაშნაკელების ტაქტიკასთან აიხსნება მხოლოდ პოლემიკური გატაცებით და არა ნამდვილი მდგომარეობით. საქ-ს სოც-დემოკრაციამ ნათლად დაგვა-

ნახვა, რომ მას შეუძლია არა მარტო ხმლის ამო-  
ღება, არამედ მისი ჩაგებაც.

ამხ. ირ. წერეთელს სურს ჩვენი საკითხი დაუ-  
კავშიროს საერთოდ სოც. დემოკრატიის გამარ-  
ჯვების საკითხს. დისკუსიის და რეზოლიუციის მთა-  
ვარი მუხლი იყო ჩვენი დამოკიდებულება აჯანყე-  
ბასთან; მიმატებული მუხლი, რომელიც არ გამო-  
ქვეყნებულა, სრულიადაც არ ეხებოდა პარტიულ  
ხაზს და მოქმედებას, ვინაიდან არასოდეს პარტიას  
არ უძებნია არავითარი სამხედრო კომბინაციები და  
არც აქვს სათანადო ორგანო. მსგავსი საქმეები შე-  
ადგენს მთავრობის კომპენტენციას და არა პარ-  
ტიისას. და თუ ჩვენ ეს მუხლი მივიღეთ, მხოლოდ  
იმიტომ, რომ ამით ერთნაირი დაკმაყოფილება მიი-  
ღო ე. წ. ოპოზიციამ. მაგრამ ის იმდენათ ოდიო-  
ზური იყო, რომ მისი გამოქვეყნება კრებამ საჭიროდ  
არ დაინახა.

უნდა ვსთქვათ, რომ მთელი ეს ამბავი და აგ-  
რეთვე ეს დაუბეჭდავი მუხლი თავის დროზე გადა-  
ეგზავნა ცეკას, ამიტომ სრულიად მართალი არ  
არის, ვითომც აქ ჩვენ რაიმე დავმალეთ, და თუ  
ეხლა გწერთ ამ ამბავს ხელ-ახლა იმიტომ, რომ ეხ-  
ლანდელი ცეკას შემადგენლობა სხვა არის.

ჩვენ, მართალია, მოგწერეთ ერთ წერილში ამხ.  
ირ. წერეთელის ორიენტაციის რყევის შესახებ, ხო-  
ლო მეორეში—ამის წინააღმდეგი, მაგრამ ეს აიხს-

ნება იმით, რომ პირველ და მეორე წერილს შორის განვლო რამოდენიმე თვემ, ამ ხნის განმავლობაში ამხ. წერეთელმა არა ერთხელ გააკეთა განცხადება, რომ ის სდგას მიღებული რეზოლიუციის ნიადაგზე და იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას, ეს ბიუროს ოქმებშიაც არის აღნიშნული. მეორე, რაკი მან თავისი თეზისები აქ მოხსნა და მიიღო საერთო რეზოლიუცია, სადაც ორიენტაციის საკითხი უწყევია, ცხადია ამით ირაკლი დადგა საერთო პარტიულ ხაზზე. ამის შემდეგ, ცხადია, განსხვავება ჩვენს შორის რჩებოდა მხოლოდ წვრილმან საკითხებში და თუ დღეს ამხ. წერეთელი ისევ უბრუნდება თავის ძველ პოზიციას, გამოთქმულს თეზისებში, ე. ი. თუ ის ეხლა კიდევ ორიენტაციის საკითხს აყენებს სადაოდ—მაშინ, რასაკვირველია, ჩვენს შორის ღრმა განსხვავებაა. მაგრამ ეს ამხ. წერეთელმა უნდა დააყენოს აშკარად და ნათლად და არა ისე, გაკვრივ, როგორც ის ჩადის დღეს თავის წერილში.

ბროშიურა „ჩვენი ტაქტიკა“ ისე, როგორც „რა მოხდა“, წაკითხული იყო არა რედაქციის, არამედ ბიუროს სხდომაზე და ხატავდა ბიუროს საერთო აზრს. იმაზე უფრო კონკრეტული გამოხატვა ჩვენი ტაქტიკისა ამხ. წერეთლისაგან ბიუროში არავის გაუგონია და არც დღევანდლამდე გვსმენია.

რაც შეეხება ამერიკის ამბავს, ჩვენ ცნობა სწორად გადმოგეცით, რაც შემდეგ უფრო დამტკიცდა.

სწორედ მას შემდეგ ვაშინგტონის მთავრობის ხარჯით დაიბეჭდა ვრცელი წიგნი სათაურით: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა“, სადაც მოთავსებულია ჩვენი ქვეყნის შესახებ ყველა დოკუმენტები.

რომ ჩვენ მართალი ვიყავით, როცა გწერდით, რომ ეს პოლემიკა ცეკას ნუ გაშორდებათქო, ეს მერე სავსებით გამართლდა.

მიწერ-მოწერა ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს და თავის სასარგებლოდ გამოიყენეს, — რომ ეს ამბავი კიდევ არ განმეორდეს, ჩვენ კიდევ გირჩევთ ეს მიწერ-მოწერა ცეკაში დარჩეს.

რაც შეეხება ბოლშევიკებთან გადასულ ამხანაგებს, უნდა ვსთქვათ, რომ, ჯერ ერთი, მართალი არ არის, თითქოს ათასობით გადასულიყვნენ ბოლშევიკების მხარეზე. ეს თქვენ კარგად იცით. ირაკლის, ალბათ, ბოლშევიკებისათვის დაუჯერებია; მეორეც დიდი განსხვავებაა იმაში, თუ როგორ ხდება ბოლშევიკებთან გადასვლა ევროპასა და საქართველოში. საქართველოში ეს ხდება ტერორით და ჩეკის ზეგავლენით — აქ კი, ევროპაში, ყველა, ვინც ჩვენებიდან ბოლშევიკების მხარეზე გადავიდა, ამხ. ირაკლის იდეოლოგიას ეკუთვნის ეს ფაქტია და ამის დამალვა შეუძლებელია.

ბიუროს შემადგენლობის საკითხი თქვენი ახალი დანიშვნებით მოწესრიგებულია და მიღებული რეგ-

ლამენტით საშუალება ეძლევა შორს მყოფ ამხანა-  
გებსაც მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ.

ეს წერილი წაკითხული და მიღებული იქნა ბიუ-  
როს მიერ, 31/XII—1926 წ. სხდომაზე.

ამხანაგური სალამით ბიუროს პრეზიდიუმში:

ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ს. მენლარი-  
შვილი.

ბიუროს მდივანი: ს. მენლარიშვილი.

## II. ირაკლი წერეთლის წერილი საქ. სოც.- დემ. პარტიის ცეკას

### საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ წერილის გამოგზავნა, უამისოთაც დაგვიანებული, კიდევ უფრო დამიგვიანდა იმ უბედურობის გამო, რომელიც აქ დაგვატყდა. თქვენც ამ უამათ კარლო ჩხეიძის სიკვდილის მძიმე შთაბეჭდილების ქვეშ იქნებით. თუ რა პოლიტიკური და მორალური ღირებულება დაეკარგეთ კარლოს სახით, ამის გამოთქმა ძნელია. ვიცი რომ ამას ყველა გრძნობთ. დიდი ნაკლულოვანება იყო ჩვენი პარტიისათვის, ისე როგორც თვით კარლოსთვისაც პირადათ რომ საზღვარგარეთიდან მას არ ქონდა პირდაპირი კავშირი საქართველოში მომუშავე ამხანაგებთან. ჩვენი მოძრაობის აღორძინებას დიდათ ხელს შეუწყობდა რომ ამხანაგებს საქართველოში გაეგოთ მისი შეხედულება პოლიტიკურ მდგომარეობაზე და ტაქტიკურ საკითხებზე და, როდესაც დღეს იმავე საგანზე გწერთ, არ შემოძლია არ აღვნიშნო რა დიდი მორალური ნუგეში იყო ჩემთვის, რომ ჩვენი პოლიტიკის ძირითად საკით-

ხეშში მასთან შეთანხმებით ვიყავი და მასთან ერთად ვიცავდი ამ შეხედულებებს, როგორც ბიუროს კრებაზე, ისე პარიზის ორგანიზაციის საერთო ყრილობაზე.

ქვემოთ ყოველგან მე ჩემი სახელით ვლაპარაკობ. ეს იმას არ ნიშნავს, რასაკვირველია, რომ ამ წერილში გამოთქმული შეხედულებები მარტო მე მეკუთვნის. თქვენ იცით, რომ ერთი ნაწილი იმ ამხანაგებისა, რომლებიც აქაურ დისკუსიაში მონაწილეობას იღებენ, ამავე აზრებს იზიარებენ. მაგრამ წერილების კოლექტიური შედგენა ჩვენს მიწერ მოწერას მხოლოდ გაართულებდა და აჩივთ ჩემი სახელით გწერთ, როგორც ბიუროს წევრი და თქვენი წარმომადგენელი ინტერნაციონალში.

დიდი ხანია მას აქეთ, რაც თეზისები და წერილები გამოგიგზავნეთ ჩვენი ტაქტიკის ძირითად საკითხებზე. ბიუროში გადმომცეს, რომ ეს მასალები თქვენ მიღებული გაქვთ. მაგრამ აქამდის თქვენი პასუხი არ მოგვსვლია და ვერც მე შევძელი თქვენთვის ხელმეორეთ მოწერა.

სამაგიეროთ, ამ ხნის განმავლობაში თქვენგან მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი წერილი (№ 1 17 იანვრის თარიღით გამოგზავნილი) ჩვენი პარტიის ტაქტიკის შესახებ, და აგრეთვე გავეცანით ბიუროში ნ. ჟორდანიას ორ წერილს, თქვენთვის ბიუროს სახელით გამოგზავნილს, რომელთა-

გან პირველი (უთარილო) შეიცავს ჩემი თეზისების და წერილების კრიტიკას, ხოლო მეორე (14 მარტის თარიღით)—თქვენი წერილის პასუხს. აი ამ მიწერ-მოწერაში აღძრულ კითხვების შესახებ მსურს შეგატყობინოთ ჩემი აზრი; ეს საკითხები მოითხოვს ჩვენგან განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან მაგი გადაწყვეტით წყდება ჩვენი პარტიის და მოძრაობის ბელი.

თქვენ დაინახავდით ჩემი თეზისებიდან, რომლებიც თქვენი წერილის გამოგზავნის შემდეგ უნდა მიგელოთ, რამდენად სავსებით ვეთანხმები თქვენგან აღებულ ხაზს. დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ერთი გზა ჩვენი პარტიის აღორძინებისა და მის გარშემო ჩვენი მუშათა კლასის შემოკრებისა არის ის, რომელსაც თქვენ აღნიშნავთ: იარაღის ჟღარუნის ნაცვლად—სოციალ დემოკრატიულ საპროპაგანდო და საორგანიზაციო მუშაობის აღდგენა; ეროვნულ რომანტიკით ხალხის კვების მაგივრათ ეროვნულ საკითხის კლასობრივი გაშუქება და მისი შედუღება ჩვენს საერთო სოციალ-პოლიტიკურ მოთხოვნილებებთან.

მაგრამ, ძალიან ვშიშობ, რომ ეს სწორი ხაზი საზღვარგარეთიდან მოსულმა კრიტიკამ არ შეგარყვევით, იმ კრიტიკამ, რომელსაც შეიცავს ნ. ჟორდანიას ზემოთ ნახსენები წერილები, და რომლის გასამართლებლად ის საზღვარ-გარეთელ

პირობებს და მუშაობას იმოწმებს. უნდა აღვნიშნო, რომ ჟორდანიას ამ წერილებს ჩვენ ბიუროში გავეცანით, მათ გაგზავნის შემდეგ, ცხრა მაისის სხდომაზე და ამ წერილების შინაარსს შვიდ ბიუროს წევრთაგან არ დაეთანხმა სამი: ჩხეიძე, არსენიძე და მე.

გადავდივარ ამ წერილების დებულებებზე.

14 მარტის წერილში ნოე ჟორდანია გწერთ:

„ჩვენ ვხედავთ თქვენში ტენდენციას მკაცრად გამომიჯენისას აჯანყების პერიოდიდან. ეს, რასაკვირველია, სრულიად არ არის სალი“. ამის დასამტკიცებლად მას შემდეგი საბუთი მოჰყავს: „პარტიტეტმა, რასაკვირველია ცუდი საქმე დაგვმართა, რომ ბრძოლა წააგო, მაგრამ ეს წაგებული ბრძოლა ცდილი პლიუსია ჩვენთვის, ვინაიდან ამ დღიდან საქართველოს საკითხი ევროპის საზოგადოებრივ აზრში სერიოზულათ ისმება“. პირველ წერილში ამ საგანზე ის კიდევ უფრო გადაჭრით ლაპარაკობს: „გაკვრით უნდა აღვნიშნოთ, რომ აჯანყება გამართლებულია პოლიტიკურათ და ისტორიულათ და მის დადებით შედეგებს აქ ყოველდღე ვხედავთ“-ო.

მე ვფიქრობ, რომ გადამეტებულმა წარმოდგენამ საზღვარ-გარეთის ყურადღებაზე წარსულში ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ცუდი როლი ითამაშა.

ახლაც აჯანყების დადებითი შედეგების ნამეტანი ოპტიმისტური შეფასება კეთილს არ გვიქადის.

რაში გამოიხატება ევროპაში აჯანყების დადებითი შედეგები?

ოფიციალურ სფეროში მხოლოდ ერთში: როდესაც მოვიდა აჯანყების და მასზე მოყოლილი საშინელი რეპრესიების ამბავი, ხალხთა ლიგამ, ჩვენი მეგობარი სოციალისტების მეცადინეობით, თანაგრძნობის რეზოლიუცია მიიღო: ამ რეზოლიუციას, რასაკვირველია, ჩვენთვის დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მისი პოლიტიკური გავლენა არ უნდა გადავამეტოთ; ეს რეზოლიუცია წარმოადგენს მხოლოდ სიტყვა-სიტყვით განმეორებებს ხალხთა ლიგისაგან წინათაც მიღებულ რეზოლიუციას—საქართველოში სი.ხლის ღვრის წინააღმდეგ—და მას იმდენათ პლატონიური ხასიათი აქვს, რომ მასში საქართველოს დამოუკიდებლობა განზრახ ნახსენებიც კი არ არის. ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკა კი აჯანყების შემდეგ თუ შეიცვალა, ეს სამწუხაროთ, უფრო უარყოფით ფაქტში გამოიხატა, ვიდრე დადებითში. სახეში მყავს ინგლისი. როგორც იცით, აჯანყებამდის ინგლისის მუშათა მთავრობამ, საბჭოთა რუსეთის ცნობის ფორმულის გამომუშავების დროს, მიიღო ისეთი ზოგადი რეზერვი, რომელშიც ძალიან ფრთ-

ხილათ საქართველოს თვითგამორკვევის უფლება  
ნაგულისხმევი იყო, ხოლო აჯანყებაზე გამარჯვე-  
ბის შემდეგ ბოლშევიკურმა მთავრობამ მოსთხოვა  
ძას და აიძულა ის კიდევაც გაეკეთებია პარლამენ-  
ტში ჩვენთვის არასასურველი განმარტება ამ რე-  
ზერვისათვის. სხვა მთავრობებს რაც შეეხება, არც  
აქ შეგვიძლია აღვნიშნოთ წარმატება. ჩვენი მე-  
ცადინეობა იქით არის მიმართული, რომ ის მკი-  
რე უფლებები, რაც აჯანყების წინ გვქონდა, შე-  
ვინარჩუნოთ. საზოგადოებრივ აზრში ჩვენი ხალხის  
მიერ გაწეულმა მსხვერპლმა, რასაკვირველია თა-  
ნაგრძნობა გამოიწვია, მაგრამ ეს უმთავრესად  
სოციალისტურ წრეებში, რომლებიც თანაგრძნო-  
ბას არ გვაკლებდენ.

ამ თანაგრძნობის გამოხატულება იყო ინტერ-  
ნაციონალის რეზოლიუცია და ცალკე გავლენიან  
სოციალისტების გამოსვლა ჩვენს სასარგებლოთ.  
ბურჟუაზიულ წრეებში კი ინტერესი მეტათ სუს-  
ტი გამოდგა. აჯანყების დროს ბურჟუაზიული პრე-  
სა გადამეტებულ ცნობებს ბეჭდავდა, მაგრამ რო-  
გორც კი გამოირკვა, რომ აჯანყება დამარცხდა,  
ეს ეპიზოდური ინტერესიც ჩაქრა. უნდა იცოდეთ  
რომ აქაური მასშტაბით სამხედრო გამოსვლა, რო-  
მელიც მხოლოდ რამდენიმე დღე გრძელდება. არა-  
ფერია. ესენი შეჩვეული არიან კოლონიალურ ხალ-  
ხების წლების განმავლობაში სისხლიან ბრძოლას,

როგორც იყო, მაგ. აბდელ-კერიმის ბრძოლა მაროკოში. საქართველოს, რასაკვირველია, რუსეთთან ასეთი ბრძოლა არ შეუძლია. და ამ გარემოების გაორკვევა ბურჟუაზიის თვალში საქართველოს დამოუკიდებლობის საქმისთვის უფრო მინუსათ უნდა ჩაითვალოს, ვიდრე პლიუსათ.

ჩვენ მოწიწებით უნდა ვიხსენებდეთ აჯანყების დროს დაკარგულთა სახელს, მაგრამ სწორედ ეს წმანდა სისხლი გვავალებს გაჯაფრთხილოთ ჩვენი ხალხი მომავალში ასეთ მსხვერპლისაგან.

უნდა გვახსოვდეს ჩვენი მეზობელ სომხების მაგალითი; აჯანყების დროს არა თუ თანაგრძნობის რეზოლიუციები, არამედ ხშირათ დიპლომატიური გამოხმაურება და რეალური დახმარების დაპირებაც კი მიუღწაათ ევროპიდან, მაგრამ ფაქტიურათ მათ დასაცავათ არავინ განძრეულა და მთელი ხალხი უთანასწორო ბრძოლის მსხვერპლი გახდა.

აჯანყების მზადების, სამხედრო-ტექნიკურ ორგანიზაციების მოწყობის მეთოდები არასოდეს ს.-დ-ის გზა არ ყოფილა. ეს მშვენიერათ გარკვეულია კ. კაუცკის ბროშიურაში „ინტერნაციონალი და საბჭოთა რუსეთი“. ამ მეთოდები ღან მკაცრად გამიჯვნა ნიშნავს არა ჩვენი ნაცად პარტიულ პრინციპების, არამედ ჩვენი გზის შემშლელი იარაღის უღარუნის პოლიტიკის ლიკვიდაციას და ასეთი ლიკვი-

დატორობა საჭიროა ჩვენი პარტიის და ჩვენი ხალხის აღორძინებისათვის.

მეორე სადავო საკითხი შეეხება ნ. დემოკრატებთან „საერთო ფრონტს“. მე უკვე მოგწერეთ, რამდენათ მიუღებლათ ვთლიდი იმ დათმობებს, რომლის საშვალებით მთავრობამ და ბიუროს უმრავლესობამ აქ საერთო ორგანიზაცია აღადგინა. უნდა აღვნიშნო, რომ მაშინ, როდესაც ამ უთანხმოებამ ჩვენს ბიუროში თავი იჩინა, ჩვენ ყველა ვფიქრობდით, რომ ჩვენი პარტია საქართველოდან გადაჭრით მოითხოვდა საერთო ორგანიზაციის აღდგენას. მას აქეთ ბევრი რამ ახალი გამოირკვა. ჯერ მოვიდა კონფერენციის რეზოლიუციები, სადაც საერთო ორგანიზაციის მაგივრად საინფორმაციო კავშირზე იყო ლაპარაკი, და ისიც ძალიან თავდაჭერილათ. მერე კი თქვენი წერილი, სადაც ეს საკითხი მკაფიოთ გარკვეულია და საქართველოში საერთო ორგანიზაციის აღდგენის შეუძლებლობა დასაბუთებულია. აქაური გამოცდილებაც ამას ამოწმებს. მართლაც, თვით ნოე ურდანიას წერილი, რომელიც „საერთო ფრონტის“ გამართლებას ცდილობს, აღიარებს ისეთ ფაქტებს, რომლებსაც ამ ფრონტის სრულ უნიადაგობას ამტკიცებენ. ის გწერთ (14 მარტის წერაღში), რომ ჩვენთან საერთო ფრონტში შემოსულმა ნაც. დემოკრატებმა მოაწერეს ხელი დემოკრატიულ პლატფორმასო, მაგრამ იმავე დროს შეკავშირებული დარ-

ჩენ ნაც. დემოკრატების მეორე ნაწილთანო, რომ-  
ლებიც საერთო ფრონტის წინააღმდეგნი არიანო.  
ამ უკანასკნელებს ჟორდანია ასე ახასიათებს: ზოგია  
მონარქისტი და რუსოფილი, რომელნიც თავის ხსნას  
გამოელიან ძველ რეჟიმის რესტავრაციით,—ზოგი  
ფაშისტები, რომელნიც საქართველოს დამოუკიდებ-  
ლობას სცნობენ, თუ მათ ხელში იქნება დამოუკი-  
დებლობა, ზოგი ბოლშევიზანები მომავალი ვეშაპე-  
ლები. ახლა მე მეკითხებით,—თუ კი ეს ასეა,—რო-  
გორ შეიძლება გამართლდეს საერთო ფრონტი მათ-  
თან, ვინც ასეთ ელემენტთან არ გამიჯნულან.  
ნ. ჟორდანია გწერთ, რომ იმ ნაწილს ნაც. დემო-  
კრატებისას, რომელიც ჩვენ შეგვითანხმდა, „ჯერ-  
ჯერობით აქაურ ნაც. დემოკრ. კომიტეტში უმრავ-  
ლესობა ჰყავთ, მაგრამ ამ უმრავლესობას, როგორც  
სჩანს, სული კბილით უჭირავს და როდის დაიშლე-  
ბა არავენ იცის“—ო.

ამ გარემოებას—ე. ი. ჩვენი მომხრეების დღეს  
უმრავლესობაში ყოფნას—მნიშვნელობა ექნება მა-  
შინ, თუ კი ეს უმრავლესობა შეიძლება და დანარჩე-  
ნების ხელმძღვანელობას, მაგრამ თვით **ნ. ჟორდა-  
ნია** აღიარებს, რომ ეს ასე არ ხდება, რომ ფაშისტ-  
ური ნაწილი ნაც. დემოკრატებისა ჩვენ ყველა სა-  
შვალებით, რაც კი გააჩნია, გვებრძვის. მიუხედავად  
ამისა, „საერთო ფრონტის“ მომხრე ამხანაგები არა  
თუ ამ ფრონტის მომხრეებათ რჩებიან, არამედ მი-

სი დარღვევის შიშით ფაშიზმის მხილებასაც კი  
ერიდებიან. ამით აიხსნება, რომ საერთო ფრონტი-  
საგან დაარსებულ გაზეთში და თვით ჩვენ პარტიულ  
გაზეთშიაც ფაშისტების არსებობის ხსენებასაც კი  
ვერ ნახავთ. ნ. ჟორდანიას გწერთ: „ძალიან საჭირო  
იყო, რომ საქართველოში ყოფილყო რაიმე ავტო-  
რიტეტული ნ. დ. ორგანიზაცია და მათთვის აქ  
ეკარნახებია მთავრობისათვის მხარის დაჭერაო“.  
„ჩვენი საერთო ინტერესია ამ ფრთის (ე. ი. ჩვენ-  
თან შეთანხმებულ ნაც. დემოკრატების) გაძლიერება  
და მოწინააღმდეგის დამარცხება. ამ გარემოებას  
თქვენ იქ მიაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღე-  
ბას“-ო.

ამ სიტყვებიდან თუ ისეთი დასკვნა გამოიტანეთ,  
რომ საქართველოში აღებული ხაზი შესცვალეთ და  
აქაჟრის მსგავსი ფრონტი შეადგინეთ,—ეს, ჩემი  
ფიქრით, დიდი უბედურება იქნება.

### ახლა აქაურ განწყობილებაზე.

ნ. ჟორდანიას გწერთ, ჩვენ ყველა არსებით სა-  
კითხებში შეთანხმებული ვართო. საუბედუროთ, ეს  
ასე არ არის და ამას მოწმობს ყველა აქაური ჩვენი  
სხდომები და თქვენთვის გამოგზავნილი წერილებიც.  
ნ. ჟორდანიას თავის პირველ წერილში გწერთ ჩემი  
თეზისების შესახებ: „რაც შეეხება არსებით მხარეს,

ირ. წერეთლის რეზოლიუცია თავის დროზე ბიუ-  
რომ უარყო. შემდეგ ის მან თვით მოხსნა პარიზის  
სოც. დემ. ორგანიზაციის სხდომაზე და მიღებულ  
იქნა რეზოლიუცია, რომელიც გამოცხადებულია  
„ბრძოლის“ პირველ ნომერში. მაშასადამე, ირ. წე-  
რეთლის რეზოლიუცია ფაქტიურათ უარყოფილია  
და არაფითარი ახალი გარემოება არ მომხდარა,  
რომ ეს საკითხი ხელახლა სადისკუსიოთ გადაიქ-  
ცეს“-ო. აქ ნათქვამიდან სწორია მხოლოდ ის, რომ  
ბიუროს უმრავლესობამ უარყო ჩემი თეზისები, და-  
ნარჩენი რწმუნება კი ვითომ პარიზის ორგანიზა-  
ციაში ჩემი რეზოლიუცია მომეხსნას რადგან „ბრძო-  
ლაში“ გამოქვეყნებული რეზოლიუციის ტექსტით  
დავკმაყოფილებულვარ--სწორი არ არის.

უნდა აღვნიშნო პირველ ყოვლისა, რომ „ბრძო-  
ლაში“ იყო გამოქვეყნებული პარიზის ორგანიზაციის  
არა მთელი რეზოლიუცია, არამედ მხოლოდ მისი  
ნაწილი, სწორეთ იმ მუხლის გამოკლებით, რომლის  
გარშემო სწარმოებს მთელი დავა და რომელიც შე-  
ადგენდა შეთანხმების მთავარ საგანს.

ეს მუხლი დიდი უმრავლესობისაგან მიღებული,  
ასეთია:

მუხლი 13 „მუხლი ცამეტი“. პარტიას მისაღებათ  
შეაჩნია, საქართველოს განთავისუფლების საქმისა-  
თვის, უცხოეთიდან დახმარება.

ამ მუხლის ისტორია ასეთია: დისკუსიის შემდეგ, კრებამ მოგვანდო **ნ. უორდანიას** და მე საკომპრომისო რეზოლიუციის შემუშავება. ჩვენ შევამუშავეთ ტექსტი, სადაც ზემოთ ამოწერილი მე 13 მუხლი შეტანილი იყო. თანამოაზრე ამხანაგებთან შეთანხმებით, მე განვაცხადე, რომ ჩვენ რეზოლიუციას ხმას მხოლოდ იმიტომ ვაძლევთ, რომ შიგ ეს მუხლი იმყოფება, რომელიც მთელ რეზოლიუციას ჩვენთვის მისაღებ ელფერს აძლევს. იმ დროს, როდესაც აჯანყების პერიოდის პსიქოლოგია ემიგრაციაში ძლიერი იყო და საქართველოდანაც ამგვარ სულიერი განწყობილების ცნობები მოგვდიოდა, ამ რეზოლიუციაში გ მოთქმულ დებულებებს ჩვენ ვთვლიდით მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯათ. რატომ არ გამოქვეყნდა ეს მუხლი „ბრძოლაში“? ამის მიზეზი შემდეგია: **ნ. უორდანიამ** და ზოგმა სხვა ამხანაგებმა, რომლებმაც ამ მუხლს ხმა მისცეს, გამოსთქვეს მოსაზრება, რომ თუ ეს მუხლი გამოქვეყნდა, მტერი ამას გამოიყენებს, როგორც აღიარებას, რომ წინათ პარტია სამხედრო კომბინაციების პოლიტიკას ატარებდა. ამიტომ, მათი წინადადებით, კრებამ დაადგინა, ეს მუხლი მიეღო, მაგრამ ეცნობებია ის პარტიისათვის არა პრესის საშუალებით, არამედ წერილობითა ინფორმაციის წესით.

სამწუხაროთ, დღეს რეზოლიუციის ერთი ავტორ-  
თაგანი, ნ. ჟორდანია, როდესაც ამ რეზოლიუციის  
აშბავს მოგითხრობთ, მას ვითომ ჩემს წინააღმდეგ  
იმოწმებს და მის არსებით მუხლს „ბრძოლაში“ გა-  
მოტოვილს, არც კი იხსენიებს.

ნიშნავდა პარიზის ორგანიზაციისაგან ამ რეზო-  
ლიუციის მიღება, რომელშიაც ჩემი თეზისების ზო-  
გი ადგილი სიტყვა სიტყვით გადატანილია, რომ მე  
ამით უფლება მერთმევა პარტიის წინაშე ჩემი შე-  
ხედულებების და განმარტების საკვებით დაცვის? რა-  
საკვირველია, არა. მე არასოდეს არა თუ ჩემი თე-  
ზისები არ მომიხსნია, არამედ თავიდან ვითხოვდი  
მათ საქართველოში გაგზავნას და ამ ჩემ უფლების  
განხორციელებაში არც ერთი ბიუროს წევრი არ  
შემდავებია, თუმცა ბიუროს უმრავლესობამ ეს თე-  
ზისები არ მიიღო. ბიუროს თანხმობით გადავეცი  
ეს თეზისები მაშინდელ მდივანს კ. კ.—კს საქართვე-  
ლოში გასაგზავნათ და მან მხოლოდ გზის მოსპობის  
გამო მაშინვე ვერ გამოგიგზავნათ. შემდეგ, როცა  
„ბრძოლა“ გამოვიდა რედაქცია მპირდებოდა თეზი-  
სების დაბეჭდვას. ნომრიდან ნომრამდე გადაიღო და  
ბოლოს არჩიეს ნაინც ფოსტით გაგზავნა. თქვენ  
იკითხავთ: რაკი პარიზის ორგანიზაციაში ნ. ჟორდა-  
ნიასთან შეთანხმდით ზოგიერთ ძირითად დებულებებში,  
რატომ შემდეგში ეს შეთანხმება არ დამკვი-  
დრდაო? სამწუხაროთ, ამ შეთანხმებას მკვიდრი ნია-

დავი ვერ დაედო, რადგან ჟორდანია, როგორც თქვენდამი მის მოწერილ წერილებიდანაც დაინახავდით, ერთ და იმავე დროს ეთანხმება ორ სრულიად მოპირდაპირე ტაქტიკის პრინციპს. შეადარეთ, მაგალითად, ის დაფასება, რომელსაც ნ. ჟორდანია აძლევს ჩემს თეზისებს ორ თქვენთვის მოწერილ წერილში. პირველში ის ბიუროს სახელით გწერთ: „ბიურომ ამ რეზოლიუციაში (ე. ი. თეზისებში) დაინახა რუსეთის ორიენტაციისაკენ გადახრა, მით ჩვენი საკითხის საერთაშორისო ფარგლებიდან ჩამოხსნა და რუსეთის შინაურ საქმეთ გადაქცევა. აქედან ერთი ნაბიჯი იქნებოდა მთელი ჩვენი საზღვარგარეთელი მუშაობის სახელმწიფოებრივ მასშტაბში მოხსნამდე, ე. ი. მთავრობის და დელეგაციის გაუქმება, ყველა მოპოებულ იურიდიულ უფლებათა დაკარგვა და მსგავსათ რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიისა ბოლშევიკურ რეჟიმთან ბრძოლით დაკმაყოფილება“.

მეორე წერილში ის იმავე საგანზე გწერთ: „თქვენ გვეკითხებით აქაურ დავაზე ტაქტიკის შესახებ, ამაზე უკვე გამოგიგზავნეთ წერეთლის თეზისები და ბიუროს პასუხი (ე. ი. ზემოთ ამოწერილი პასუხი ი. წ.) აქედან დაინახავთ, რომ ეს დავა სრულიად არ ეხება ჩვენს ძირითად სამოქმედო ხაზს არც ნაციონალურ, არც სოციალურ სფეროში. ჩვენ ყველანი ვდგევართ საქართველოს დამოუკიდებლობის

ნიადაგზე, ნაციონალურ მთავრობის შენარჩუნებაზე, დიპლომატიურ და პარტიული მუშაობის გაძლიერებაზე და სხვა. განსხვავებაა რამდენიმეთ ნიუანსებში,—უმთავრესათ პარტიებთან დამოკიდებულებაში, მაგრამ ეს განსხვავება სრულიად არ ვნებს მთლიან მუშაობას და მთლიანი ტაქტიკური ხაზის გატარებას“.

აღსანიშნავია, რომ ორივე ეს წერილი შემთხვევით ერთ და იმავე სხდომაზე ეცნო ბიუროს და ბიუროს უმრავლესობამ ორივე ეს წერილი ერთ და იმავე სხდომაზე დაადასტურა.— ვფიქრობ ზედმეტია იმაზე შეჩერება თუ რამდენად სამწუხაროა ასეთი მდგომარეობა.

ნ. ჟორდანიას გწერთ კიდევ: „ჩვენ ყველა შევთანხმდით „ჩვენი ტაქტიკის“ ნიადაგზე და, მაშასადამე, ახლა სადაოც არაფერია-ო.

ესეც სამწუხაროთ, არ არის სწორი; ჟორდანიას შეთანხმებას უწოდებს შემდეგ ფაქტს: რედაქციის კრებაზე, რომელზეც ზოგი არარედაქციის წევრთან ერთად მეც დავესწარი, ჟორდანიამ წაგვიკითხა თავისი სტატია „ჩვენი ტაქტიკა“ და შეგვეკითხა—ვის რა შენიშვნები გაქვთ-ო. არაფერი არაჩვეულებრივი სტატიის ასეთ წაკითხვაში არავის დაუნახავს, რადგან წესით სხვებსაც წაუკითხავთ თავისი ნაწერები; თავის თავად ცხადია, რომ ამა თუ იმ სტატიის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა კიდევ არ ნიშნავს

შეთანხმების შემუშავებას. დამსწრეთა ზოგ შენიშვნებს ჟორდანიამ ანგარიში გაუწია,—ზოგს—არა და ეს მისი უფლებაც იყო, რადგან სტატიას აქვეყნებდა, როგორც თავის ინდივიდუალურ ნაწარმოებს და არა როგორც შეთანხმების პლატფორმას:

ამ სტატიის შინაარსს რაც შეეხება, მე ვფიქრობ, რომ იქ გამოთქმული ზოგადი პრინციპები სოც.-დემოკრატიული ტაქტიკის სწორი პრინციპებია. მაგრამ სტატიის ნაკლათ ის მიმაჩნია, რომ მას განყენებული ხასიათი აქვს და ეხება იმ საკითხს, რომლის გარჩევა პირველ ყოვლისა არის საჭირო ჩვენი ტაქტიკის გამომუშავების დროს. სახელდობრ: ჩვენი პარტიისაგან უკანასკნელ წლებში წარმოებული ხაზი საჭიროებს თუ არა ამ პრინციპების თანახმად გამოსწორებას? არის თუ არა ამ მხრივ რაიმე ნაკლი ჩვენს იდეოლოგიაში და პრაქტიკაში? ამ საკითხს ჟორდანია გვერდს უხვევს, ამის გაურჩევლად კი მის დებულებებს მნიშვნელობა ეკარგება.

ეს გამოვსთქვი მე იმ სტატიის კითხვის დროსაც და მრავალ სხვა შემთხვევებშიაც. შეთანხმება ჩვენ გვესაჭიროება არა განყენებულ პრინციპებში, არამედ ამ პრინციპების განხორციელების საკითხში, და როგორც კი კონკრეტულ სფეროში გადავდივართ, იქ თავს იჩენს აზრთა განსხვავება. „რამონდაში“, მაგალითად, ნ. ჟორდანია გამოსთქვამს ბევრ უღაგო სოც.-დემოკრატიულ დებულებას, მაგრამ

იმავე ბროშურაში, აღმოსავლეთ საქართველოში მომქმედ რაზმის გამოსვლას უპირდაპირებს და ამბობს:—აი იქ აღმოსავლეთში მოძრაობას ის ხასიათი ქონდა, რომელიც მარქსისგან განმარტებულ აჯანყების კანონებს უფრო უახლოვდებოდა, ვიდრე დასავლეთის გამოსვლებსო, არ ვფიქრობ, რომ მარქსიზმის ამგვარმა განმარტებამ რაიმე სარგებლობა მოუტანოს ან მარქსიზმს, ან ჩვენს მოძრაობას. შეცდომათ მიმაჩნია აგრეთვე უცხოეთი ჩვენი საქმის მდგომარეობის ნამეტან ოპტიმისტურათ დახატვა. ზემოთ მე შევეხე ცნობებს ევროპის ჩვენდამი განწყობილების შესახებ (ვშიშობ, რომ გადამეტებულ იმედებს ევროპაზე გადამეტებული იმედები ამერიკაზე არ დაემატოს.)

ნ. ჟორდანიას გწერთ, ამერიკაში სრულიად მოულოდნელათ ჩვენი საქმე კარგათ მიდის-ო. ჩვენი საკითხი ამერიკაში ფართოდ დასმულია და როგორც უნდა გადაიჭრას ის, ამას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება-ო. ამის საბუთად მოჰყავს ცნობა, რომ სენატში და წარმომადგენელთა პალატაში საქართველოს ცნობის სასარგებლოდ რეზოლიუცია იყო მიღებული-ო. რასაკვირველია, ეს რეზოლიუცია რომ ამერიკის სენატმა და წარმომადგ. პალატამ მიიღოს, ამას ჩვენთვის დიდი დადებითი მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ, საუბედუროთ, ამის შანსები ძალიან ცოტა არის. რამდენიმე დეპუტატის ან

სენატორის მომხრობა იმ სახით, რომ მათ ჩვენი საქმისადმი ინტერესი გამოიჩინონ და ჩვენი სასარგებლო რეზოლიუციის პროექტი შეიტანონ საპარლამენტო კომისიაში,—კიდევ არ ნიშნავს ამერიკაში სერიოზულ მოძრაობის შექმნას. როგორც ოფიციალური წრეები, ისე საზოგადო აზრი ამერიკაში ჩვენს საქმეს ძალიან გულგრილათ უყურებენ. მაშინაც კი, როცა დამოუკიდებელი საქართველო არსებობდა, ამერიკა მის ცნობას უარყოფდა და „ეგრეთწოდებული რესპუბლიკა“-ს გვეძახოდა.

დადებითი ფაქტების აღნიშვნა, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ ეს ისე უნდა ხდებოდეს, რომ სინამდვილის პერსპექტივა ხალხს არ გაუმრუდდეს, რომ მას თვალწინ უდგეს მთელი ის სიძნელე, რომელიც გარს გვარტყია და თავის მოქმედება ამ არსებულ მდგომარეობას შეუფარდოს.

დასასრულ საორგანიზაციო საკითხები, მე გთხოვდით, ჩემგან აღძრული კითხვები რაც შეიძლება ფართო პარტიულ წრეში გაგეხილათ და თქვენი შეხედულება მოგეწერათ. ამაზე ნ. ჟორდანიას თავის პირველ წერილში გწერთ: „ბიუროს აზრია ამ წერილებს გაეცნოს ცენტრალური კომიტეტი, ხოლო არავითარ შემთხვევაში ის არ უნდა დაისვენოს სადისკუსიოთ არც ერთ პარტიულ ორგანიზაციაში. ასეთი დისკუსია შეარყევს პარტიის მთლიანობას, გამოიწვევს აზრთა არეგ-დარეგას და მით გაკეთდება საქმე

ჩვენნი მტრების. მანდ კი არა, აქაც, ამ თავისუფალ არსებობის პირობებში, ამ დისკუსიამ მოგვეიტანა აუარებელი ზარალი. ბოლშევიკებმა ისარგებლეს ამით და ირ. წერეთლის მიმდევართაგან რამოდენიმე გადაიბირეს“. ახლა მე გეკითხებით—თუ ეს ასეა, თუ პარტ-ის ტაქტიკაზე მსჯელობა პარტიულ ორგანიზაციებში აძლენათ საშიში და დაუშვებელია, მაშინ რაღა საშუალება რჩება ჩვენ პარტიას თავის ტაქტიკის შესამუშავებლად; ნუ თუ ეს უნდა ხდებოდეს ბიუროს რამდენიმე წევრის ცენტრალურ კომიტეტის რამოდენიმე წევრთან მიწერ-მოწერიდ და შემდეგ მათი დასკვნა მზამზარკულათ პარტიას სახელმძღვანელოთ უნდა მიეცეს? ასეთ რამეს ხომ ბოლშევიკებმაც ვერ მიაღწიეს, თუმც პარტიის თვითმოქმედების ჩაღრჩობა და ასე ზევრიდან მისი ხელმძღვანელობა—ოფიციალურ დოგმათ აქვთ მიღებული. და თუ ბოლშევიკებმაც კი ვერ აიცილეს თავიდან პარტიის ტაქტიკის შესახებ მსჯელობა პარტიულ პრესაში და ორგანიზაციებში, როგორ უნდა აღმოვფხვრათ ეს წესი ჩვენ, სოციალ-დემოკრატებმა, რომელთა მთავარი ძალა პარტიის დემოკრატიულ თვითმოქმედებაში უნდა იყოს?

როდესაც პარიზის ორგანიზაციაში დისკუსია დაიწყო, ბიუროს უმრავლესობის წევრები მეუბნებოდნენ: შენ მომხრეთა შორის ბევრია ისეთები, ვისაც შენი მოხსენების გაგონებამდის ბოლშევიკებთან

შერიგება გადაწყვეტილი ქონდათო. ახლა, როდესაც რამოდენიმე კაცი ამათგან მართლა ბოლშევიკებს შეურიგდა, ამბობენ: ეს აუარება ზარალი წერეთლის მოხსენებამ მოგვიტანა, თორემ ეს ხალხი ჩვენთან დარჩებოდა-ო. ვსთქვათ ეს ასეც არის, ამ რამდენიმე კაცს მართლაც ჩემმა მიმდევრობამ აუბნია გზა და კვალი. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ მათზე ადრე ბოლშევიკებისაკენ გადავიდა არა ერთი და ორი, არამედ ასი და ათასი ჩვენი ყოფილი ამხანაგი, ბიუროს უმრავლესობის მომხრენი, რომელთაც ჩემი მოხსენება არც კი სმენიათ. არ მინდა ცუდ მაგალითს მივბაძო და ამდენი ხალხის გადასვლა მხოლოდ ნ. ჟორდანიას ან სხვა რომელიმე პირის შეცდომით ავხსნა. მაგრამ, უეჭველია, რომ სხვა მიზეზთა შორის ჩვენი ყოფილი ამხანაგების გატყდომაში ჩვენი პარტიის შეცდომებმაც როლი ითამაშა, კერძოთ იმ გარემოებამ, რომ პარტიის პოლიტიკის გამომუშავებაში პარტიის ფართე წრეები ნაკლებ მონაწილეობას იღებდენ. აქაურ ბიუროს შემადგენლობაზე ვწერდით, რომ 7 წევრში 3 მთავრობის წევრი ელჩის მიმატებით უმრავლესობას შეადგენენ; ამაზედ ჟორდანია გიპასუხებთ, რომ ბიუროში შვიდი კი არა ცხრა წევრი არის, რადგან ბიუროს წევრებია აგრეთვე ვ. წულაძე და სალაყაია, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ბიურო არსებობს და მოქმედობს პარიზში, ხოლო ჟორდანიასაგან დასახელე-

ბული ამხ.ნაგები პარიზიდან რამდენიმე სახელმწიფოს ან ზღვას იქით სახლობენ მუდმივით; სალაყაია — ვარშავაში და წულაძე — სტამბოლში. თქვენი გამოცდილება გეტყვით, თუ ასეთ პირობებში მათ რაიმე საუაშლიბა აქვთ ბიუროს მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ. — ახლა, კარლო ჩხეიძის გარდაცვალებით, ბიუროში იმ წევრთა რიცხვი, რომელნიც მთავრობას არ ეკუთვნიან კიდევ უფრო შემცირდა. ვიმეორებ, რომ აქაურ პარტიულ მუშაობისათვის სალი პირობების შესაქმნელად საჭიროა, ბიუროს რეორგანიზაცია, მისი გაფართოვება, მასში ახალი წევრების შეყვანა, რაც სავსებით თქვენგან არის დამოკიდებული.

ამხანაგური სალამით ირ. წერეთელი.

პარიზი, 27 ივნისი 1927 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ქართული ემიგრაცია . . . . .	3
შეთანხმება-ხელშეკრულება ქართ. პარტ. შორის	45
მოსხენება ქართვ. ინტელ. კრებაზე 1927 წ. 5 აგვ.	50
1) ორი ძირითადი ფაქტორი . . . . .	—
2) ახალი ომის საფრთხე . . . . .	52
3) ჩვენი პოლიტიკა ომის საკითხში . . . . .	55
4) ჩინეთის რევოლუცია . . . . .	60
5) კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთ დამოკიდებულება . . . . .	62

### დამატება:

საზღ.-გარ. ბიუროს პრეზიდენტის წერილი საქ.	
სოც-დემ. პარტიის ცეკას . . . . .	87
ირ. წერეთლის წერილი საქ. სოც.დემ. პარტიის ცეკას . . . . .	97